140
1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა




# პიონერი

5
1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თვალებბრიალა ბოჩოლა, პატარა „დრუნჩა" ისე შეეჩვია მზია ცინცაძეს, რომ მის გარეშე რძეს აღარ მიირთმევს.

# ჩვენი წვლილი



ბალახს, წვნიან საკვებს. დიდი მღელვარებით ველოდით ძროხების დახბორიანებას. ხბოებს ლამაზ-ლამაზი სახელები შევურჩიეთ — „ჩაქურა“, „ჭოჭია“, „გულა“, „შავია“, „ქოჩორა“...

ჩვენს მზრუნველობას ამაოდ როდი ჩაუვლია. მარტო ერთმა ძროხამ,

გოგონებს ჩონგურზე დაკვრა ეხერხებათ.

შარშან ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა გადავწყვიტეთ შეფობა გაგვეწია მშობლიური სოფლის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმისათვის. სიტყვა საქმედ ვაქციეთ. ფერმაში მისვლისთანავე იქაურობა გულმოდგინედ დავასუფთავეთ, შემდეგ კი ძროხები გავაპიროვნეთ მოსავლელად, არ ვაკლებდით ლორთქო

პიონერი

5

მაისი

1976

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



ვიდრე რძეს გაიტანდნენ, მანანა ჩხიკვიშვილი და მაია გიორგაძე გულმოდგინედ სწურავენ მას.

კ. მარქსის ს.ს. ს. ბ-კა

„ვასკამ", წელიწადში 3200 ლიტრი რძე მოიწველა.

ამას წინათ რაიონის ხელმძღვანელობამ შეაჯამა მეცხოველეობის განვითარებაში გაწეული მუშაობა. გარდამავალი დროშა სწორედ ჩვენი ფერმის მომსახურე კოლექტივმა დაისაკუთრა. რარიგ გავიხარეთ, როცა დროშის საზეიმოდ გადაცემისას ფერმის გამგემ, ძია რეზომ განაცხადა: ეს წარმატება ჩოხატაურის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეთა უანგარო დახმარების შედეგიც არის. მათმა შრომამ ფერმას 4200 მანეთის მოგება მისცაო.

წელს განზრახული გვაქვს ვისწავლოთ ძროხის მოწველა და მხარში ამოვუდგეთ ოსტატ მწველავებს.

პირუტყვისათვის საკვების დამზადებაშიც შევიტანეთ ჩვენი წვლილი: შევაგროვეთ 3,5 ტონა თივა, 2,5 ჰექტარზე ავჩალეთ სიმინდი, კოლმეურნეებს დავეხმარეთ სასილოსე მასის დამზადებაში. ფერმის საველე გაზეთში ხშირად ქვეყნდება ჩვენი წერილები. მალე სკოლაში გავხსნით შრომითი დიდების მუზეუმს, სადაც გამოფენილი იქნება, როგორც ჩვენი — მოსწავლეთა — შრომის ამსახველი ფოტოები, დღიურები და სხვა, ასევე მთელი რაიონის მიერ მოპოვებულ წარმატებებზე მეტყველი დიაგრამები, სტენდები...

მანანა ჩხიკვიშვილი,
ჩოხატაურის მე-2 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე, მეცხოველეთა რგოლის ხელმძღვანელი.



ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲐᲙᲚᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡ. ᲐᲘ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲓᲒᲐᲗ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲩᲐᲚᲘᲡ ᲖᲕᲘᲜᲔᲑᲘ.



ᲨᲐᲚᲕᲐ ᲙᲝᲢᲠᲘᲙᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲩᲐᲜᲢᲚᲐᲫᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲓᲣᲠᲒᲚᲔᲑᲘᲕᲘᲗ ᲮᲛᲐᲠᲝᲑᲔᲜ ᲘᲐᲠᲐᲦᲡ. ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲗᲝᲕᲚᲘᲗ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲙᲔᲗᲓᲔᲡ.



ᲒᲐᲜᲓᲐᲒᲐᲜᲐ ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲔ-2 ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲪᲔᲙᲕᲐᲐ.

ბორტმექანიკოსმა კარი დახურა, შეგვათვალიერა და პილოტის კაბინაში გავიდა. ჯერ მიწაზე მივძიგძიგებდით, მერე კი თანდათან გასწორდა ჩვენს ქვეშ დაქანებული გრძელი სკამი, უკვე ჰაერში ვიყავით. კარგახანს ასე ვიფრინეთ, მერე თვითმფრინავმა კიდევ უმატა სიმაღლეს.

— ფრონტის ხაზს ვუახლოვდებით, — გვითხრა კაპიტანმა. — თუ შეგვამჩნიეს, ეს სიმაღლეც ვერ გვიშველის.

მალე კაბინიდან ბორტმექანიკოსი გამოვიდა.

— მივედით. თვითმფრინავი ბოლო წრეზე მიდის. გადასხმა ხუთასი მეტრის სიმაღლიდან მოხდება.

პილოტმა გაბმული სირენა მისცა.

— წავედით! — იყვირა ბორტმექანიკოსმა.

ბიჭები ერთიმეორის მიყოლებით გაქრნენ კარის ღრმულში, ქურბაც გამომეცალა წინიდან და პირისპირ აღმოვჩნდი ჩაქუფრებულ უფსკრულთან.

მარჯვენა ფეხი ლიობთან შედგა, შევიკუმშე, კარგად გავეტიო-მეთქი, და მერე გაშლილ ზამბარასავით გავიტყორცნე ჰაერში... წამიც და მხრებში ძლიერი ბიძგი ვიგრძენი, რის შემდეგაც წყნარად მოშრიალე გუმბათქვეშ დავეკიდე უჩინარ თოკებზე.

ორიოდე წუთში უკვე შორიდან მოისმოდა უკან გაბრუნებული თვითმფრინავის გუგუნი. ჩემს ირგვლივ, როგორც ზღვის მოლურჯო წყალში მოცურავე დიდრონი მედუზები, ისე ირეოდნენ პარაშუტების მრგვალი, ჰაერში მოტორტმანე გუმბათები.

ჯაგნარში დავეშვი.

მალე მთელმა ჯგუფმა მოვიყარეთ თავი და დავიძარით. დიდ ტყემდე ისე მივაღწიეთ, საეჭვო არაფერი შეგვხვედრია. ხშირ ნაძვნარში დავბანაკდით. კორშუნოვმა საგუშაგოები შეარჩია და დასვენება გვიბრძანა. ბორის ტოლსტორუკოვი და სერჟანტი რიჟკოვი დაზვერვაზე უნდა წასულიყვნენ რკინიგზის მიმართულებით..."

— კავსაძესთან სტუმრები არიან, — პალატაში დამლაგებელმა შემოყო თავი.

ჯუბი და ვესტა მაშინვე წამოცვივდნენ და გასასვლელისაკენ გაიქცნენ. შორიდანვე დაინახეს ვესტიბიულში მდგომი ბიჭი და გოგო. ოსკარი და ელისა იცნეს.

— ჩვენთან ახალი ამბებია, იცით? — ახარა ვესტამ მისალმებისთანავე, — დენისისა და ვალერის გვარებს მივაგენით... „ვდვ" აღმოჩენილია. სტალინგრადის ფრონტზე მყოფი საჰაერო-სადესანტო დივიზიის მებრძოლები ყოფილან, მტრის ზურგში გადასროლილები ვეჩერნიცასთან... არა გჯერათ? — ვესტამ რვეული გადაშალა, აქამდე იღლიაში რომ ჰქონდა ამოჩრილი, და სხაპასხუპით წაუკითხა უკვე რუსულად ნათარგმნი ის ადგილი.

ოსკარი და ელისა ყურადღებით უსმენდნენ.

— მტრის ზურგში თექვსმეტნი გაფრენილან, ნუთუ ერთი მაინც აღარ გადარჩა? — თქვა ჯუბიმ, როცა ვესტამ კითხვა დაამთავრა. — ერთი მაინც რომ გვაპოვნინა, ყველაფერს გავიგებდით.

— სათანადო ორგანოებს მივწეროთ და ისინი გაარკვევენ, — თქვა ელისამ.

ოსკარი დაფიქრდა.

— მე ვიცი ადგილი, სადაც დაწვრილებითი ცნობები აქვთ მედესანტეების მიერ ჩატარებული ყველა მნიშვნელოვანი ოპერაციის შესახებ... აქამდე რატომ არ გამახსენდა? რიაზანში სასწრაფო დეპეშა გავგზავნოთ... ზუსტი მისამართი არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დეპეშა მაინც მივა... რადგან მსოფლიოში მხოლოდ ერთია ასეთი მუზეუმი.

— რა არის ეგეთი? — იკითხა ჯუბიმ.

— საჰაერო-სადესანტო ჯარების მუზეუმში [illegible] მასალაა თავმოყრილი. მოდი აქვე შევადგინოთ დეპეშის ტექსტი და დღესვე გავგზავნოთ.

ბავშვები მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ. ვესტა წერდა და ყველა თავისას კარნახობდა. ზოგი რამ ამოშალეს, ზოგი ჩაუმატეს და საბოლოოდ გადაათეთრეს.

სტუმრებს ვესტა და ჯუბი ჭიშკრამდე გაჰყვნენ.

— კიდევ ბევრი დაგრჩათ წასაკითხი? — იკითხა ელისამ.

— სანამ თქვენ დეპეშის პასუხს მიიღებთ, ჩვენც მოგისწრებთ თარგმანს, — დაიმედა ვესტამ.

„— დაზვერვამ ცუდი ამბავი მოიტანა. ფაშისტების დამსჯელ რაზმებს მდინარისპირა ტყე გაუცხრილავთ და თითქმის გაუნადგურებიათ ამ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი. მის ნაშთებს წითელი კერპის კატაკომბებში შეუფარებიათ თავი.

—ვისგან შეიტყვეთ? — იკითხა კაპიტანმა, როცა ტოლსტორუკოვი თხრობას მორჩა.

— მოხუცმა შეგვატყობინა, რკინიგზის ჯიხურში რომ ცხოვრობს, პაპა მიხაიმ. ხიდის მისადგომები სულ გაწმენდილია ტყისა და ბუჩქნარისაგან. ისე რომ, მალულად მიახლოება გამორიცხულია, მხოლოდ ეშმაკობა თუ გვიშველის, ეშმაკობა და თავგანწირვა.

— კარგად ვინ იცის ცურვა? — იკითხა კაპიტანმა, — სამი კაცია საჭირო.

მაშინვე სამი ბრგე ბიჭი წამოდგა წინ.

— ისე უნდა გადაცუროთ, რომ ტანსაცმელი არ დაისველოთ. რიჟკოვ, ამათგან ორს წაიყვან, მესამე შენ იქნები. გახვალთ და შეუმჩნევლად ჩასაფრდებით ხიდის ყურთან. მხოლოდ მაშინ ამოქმედდებით, როცა ურიკა გამოჩნდება ხიდზე. თუ ურიკა არ გამოჩნდა, თავს ნუ გაამჟღავნებთ, ღამეს დაელოდეთ და უკან დაიხიეთ მდინარის ზემო წელისაკენ... ურიკა კი აუცილებლად უნდა გამოჩნდეს, რას იტყვი, კომისარო? — კორშუნოვმა ლეიტენანტს შეხედა.

— მეც ასე მგონია. ჩემთან წამოვლენ ქურბა, ლუნევი, გელიაშვილი და მანუნია, — თქვა ლეიტენანტმა და ალერსით შეხედა ყოფილ მტვირთავს, ზორზოხა მარკინს, რომელსაც ხუმრობით ყველა მანუნიას ეძახდა.

სერჟანტი რიჟკოვი დაგვემშვიდობა და სწრაფად გაუჩინარდა თავის ორ ჯარისკაცთან ერთად. დანარჩენები ადგილზე დავრჩით. სადღაც წინ. ასიოდე მეტრზე სათვალთვალო პუნქტი მოაწყეს და იქ რიგრიგობით მორიგეობდნენ ჩვენი ბიჭები, დანარჩენებმა ფრთხილად წავიწიეთ ახალ პოზიციაზე და კაპიტნის ბრძანებით ორმოებს დავუწყეთ თხრა, სწორედ ისეთ ქვევრულა ორმოებს, თრიას სოროებს რომ უწოდებდა ტოლსტორუკოვი... ასეთი ორმო სულ ხუთი იყო. მოთხრილ მიწას კალთებით ვეზიდებოდით და წყალში ვყრიდით. შუაღამე გადასული იყო, როცა სამუშაოს მოვრჩით. კაპიტანმა უკანასკნელი თათბირი გამართა.

— თრიას სოროებში, ვინც ტოლსტორუკოვმა შეარჩია, ისინი ჩასხდებიან, ოღონდ წინასწარ უნდა გადაიცვათ აი ეს ფორმა. აქ მხოლოდ კიტელი, შარვალი და ქუდია, ჩექმებს თქვენსას დაიტოვებთ, — გვეუბნებოდა კაპიტანი, — დანარჩენები წინ წავალთ და სროლას ავუტეხთ გერმანელებს, ესე იგი ხიდს დავესხმით თავს და, ჭარბ ძალებს რომ წავაწყდებით, ბრძოლით დავიხევთ უკან. რაკი დაინახავენ, რომ ცოტანი ვართ, უთუოდ შეეცდებიან მოგვსპონ, და გამოგვედევნებიან. თქვენ კი ხიდთან სულ ახლოს მათ ზურგში აღმოჩნდებით, თანაც



გერმანულ ფორმაში გამოწყობილები... მაშინ კი შეგიძლიათ იმოქმედოთ. დღისით-მზისით ვინ იფიქრებს, რომ დივერსანტები ხართ. როცა ეს მოხდება, იმ დროისთვის უკვე გათენებული იქნება. გაიგეთ?

ჩვენ თანხმობის ნიშნად თავები დავიქნიეთ. კაპიტანმა სათითაოდ ჩამოგვიარა ყველას, მოგვეხვია და — აბა, თქვენი იმედი მაქვს, არწივებოო, — გვითხრა.

ორმოებში ჩავძვერით და ხელის აწევით დავემშვიდობეთ ამხანაგებს, რომლებიც მუქ ლანდებად გვადგნენ თავს. სარქველები დაგვაფარეს. ლეიტენანტის ორმო ჯაგის ძირას იყო ამოთხრილი და პერისკოპი ხმელი ბალახით იყო შენიღბული. ბორისს უნდა ედევნებინა თვალი ბრძოლის მსვლელობისათვის და შესაფერის მომენტში ავეშალეთ ბუნაგებიდან.

ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირებია. ტყვიამფრქვევების გაავებულმა ყეფამ დაარღვია განთიადის სიჩუმე. შიგადაშიგ ზარბაზნების მჭახე ხმაც ისმოდა და ავტომატების ჯერიც. სროლა გახშირდა. იგრძნობოდა, რომ ბრძოლამ თანდათან ჩვენკენ გადმოინაცვლა და ცოტახნის შემდეგ ჩვენმა ბიჭებმა გადაგვირბინეს თავზე.

— ჩასანგრეთ და სროლის მანძილზე მოუშვით, მოისმა კორშუნოვის ხმა.

ისევ აგუგუნდა მიწა. ახლა ფაშისტების მწკრივმა გადაგვიარა თავზე. უწესრიგოდ ისროდნენ და რაღაცებს გაჰკიოდნენ.

რვა კაცი, თუნდაც ოთხი ტყვიამფრქვევითა და ავტომატებით შეიარაღებული, განა რამდენ ხანს გაუძლებდა ამხელა ხროვას?

იმავე წუთს ლეიტენანტის ხმა მომესმა: [illegible] ავანგრიე ორმოს სარქველი. ტანსაცმელი [illegible] და წელში გამართულები წავედით ხიდის მიმართულებით. ოღონდ ახლოს არ მივსულვართ, მისგან მოშორებით რკინიგზისპირა ჯიხურებისაკენ წავედით. იმ ადგილას გზატკეცილი ჰკვეთდა რკინიგზას და გერმანელებს საკონტროლო პუნქტი ჰქონდათ მოწყობილი. ავტომატიანი ჯარისკაცი იდგა შლაგბაუმთან. მაგრამ ლეიტენანტს იქამდე არ მიუყვანია ჯგუფი, აქეთ, ყვითლად შეფეთქილ მეორე ჯიხურთან შეაჩერა ჯარისკაცები. კარი ღია იყო. მანუნიამ და პაპა მიხაიმ ურიკა გამოდგეს ჯიხურიდან. ქურბა, ლუნევი და მე შიგნით შევედით, სწრაფად შევკარით. ერთიან ტვირთად ვაქციეთ ფეთქებადი პაკეტების გროვა და უკვე რელსებზე შედგმულ ურიკაზე დავდეთ ნიჩბებთან და ძალაყინებთან ერთად. პაპა მიხაიმ მომწვანო-მოყვითალო ალამი გამოიტანა ჯიხურიდან და ჩაიბურტყუნა, მე გავყვებიო. ალამი მანუნიამ გამოართვა. ზონარგამობმულ ფეთქებად ტვირთზე დაამაგრა, რომელსაც ზემოდან ძველი ხალათი ეფარა და ურიკას უბიძგა.

— ვერ ისტ დაა? — გამოსძახა ხიდისყურთან მდგარმა ჯარისკაცმა, მაგრამ ოფიცერი რომ დაინახა, მკვირცხლად გასწორდა.

მაზუთში ვამოხაშული განძელი, რომელიც უფრო საფრად სჭირდებოდა მანუნიას და იმიტომ შედო ურიკაზე. შავად ბზინავდა ამომავალ მზეზე. მშვიდად ფრიალებდა მომწვანო ალამი. წელში მოხრილ მანუნიას ხელი ავტომატზე ედო, რომელიც ძველ ხალათში იყო გახვეული, და ისე აწვებოდა ურიკას. ქურბა, ლუნევი და მე ნელი ნაბიჯით ვუახლოვდებოდით ხიდისყურს. საფეთქლებში მირტყამდა სისხლი, პირი მიშრებოდა მღელვარებისაგან... ტოლსტორუკოვი ამაყად მიაბიჯებდა ფიცარნაგზე ხიდის მოაჯირის გასწვრივ, მის გვერდით კი ურიკა მიგორავდა.

მანუნია ისევ დაკუზული მიბლოტავდა და ალბათ ჩუმჩუმად ქაჩავდა მუჭში დამალულ პაპიროსს. შუა ხიდამდე რომ მივიდოდნენ, მანუნიას პაპიროსის ღველფი უნდა დაედო ზონრის ბოლოსათვის. სწორედ ამ დროს დასცხებდა ხიდის მეორე მხარეს მყოფ ფაშისტებს როჟკოვის ჯგუფის ტყვიამფრქვევი და ჩვენც ამ მხარეს მყოფი გუშაგებისათვის უნდა მოგვეღო ბოლო...

ანაზდად ტყვიამფრქვევი აკაკანდა და მაშინვე ჩაჩუმდა. გაღმა მყოფი გუშაგები დაფაცურდნენ.

— ჰალტ! — გაისმა ყვირილი და ჯარისკაცებმა ავტომატები შემართეს.

მანუნიამ დაასწრო, განძელს ამოეფარა და მიჯრით დაუწყო სროლა ჯიხურიდან გამოცვენილ მეავტომატეებს. ლეიტენანტიც მკვირცხლად გაწვა ფიცარნაგზე და პისტოლეტით ისროდა. ჩვენს ახლოს მყოფი გუშაგი ქურბამ მოცელა ავტომატის ჯერით. მიწაყრილთან გავწექით.

ხიდს გავხედე. ზონარს კვამლი ასდიოდა.

— გადახტი, წყალში გადახტი! — ლეიტენანტი გააფთრებული უყვიროდა მანუნიას.

მანუნია წამოხტა და მოაჯირს გადაევლო, ტოლსტორუკოვმაც იგივე სცადა, მაგრამ ტყვიისაგან მოცელილი უსიცოცხლოდ გადაეკიდა მოაჯირს...

ხიდი წამიერად დაცარიელდა. ავბედითად ხრჩოლავდა ზონარი და ვერავინ ბედავდა მასთან მიახლოებას. ქურბასკენ გავაპარე თვალი. ის და ლოსევი კანტიკუნტად ისროდნენ და საშუალებას არ აძლევდნენ ხიდის ყურთან ჩასაფრებულ მეავტომატეებს, მაღლა ამოსულიყვნენ...

უეცრად რაღაცამ ამიტაცა მიწიდან და ისევ დამაგდო. მძლავრი აფეთქების ხმამ გააყრუა იქაურობა. ავარდნილ მტვერში და კვამლში აღარაფერი ჩანდა. ქურბამ ამიტაცა

ბიბლიოთეკა

და თავქვე გამაქანა. სამივე გავრბოდით, ზოგჯერ ვჩერდებოდით და ყოველი შემთხვევისათვის ვისროდით. მაგრამ ჩვენთვის აღარავის ეცალა.

— რიჟკოვს მაინც რა დაემართა ნეტა? — იკითხა ვალერამ, როცა ტყიანში შევედით და სული მოვითქვით.

— მე მგონი, ისინი ტყვიამფრქვევის ჯერს წააწყდნენ და თითო გასროლაც ვერ მოასწრეს, ისე დაიღუპნენ. მანუნიაც დაიღუპა. ხიდიდან რომ გადმოხტა, ვარდნაზე შევატყე, მკვდარი იყო, — თქვა ჟურბამ და ამოიოხრა.

დენისმა ჩექმა გაიძრო და სისხლი გადმოაქცია იქიდან.

— დავჭრილვარ, ხედავთ? — კანჭთან მიიდო ხელი.

ტყვია რბილობში ჰქონდა გავლილი. ჟურბამ სახვევი დაადო და მაგრად შეუკრა.

ხიდის ზემოთ, საითაც კაპიტანმა კორშუნოვმა დაიხია თავის ჯგუფთან ერთდ, ისევ ისმოდა სროლა. გული გვეწურებოდა, მაგრამ არ შეგვეძლო შველა — მათგან რკინიგზა გვყოფდა, სადაც ახლა აშლილ სკასავით ირეოდნენ ფაშისტები.

— დურბენ ზინდ რუსენ! — მოგვესმა ძახილი მეორე ნაპირიდან.

გაღმა რუსები არიანო. ალბათ მაშველი რაზმი თუ მიდიოდა ხიდისაკენ. დავალება შესრულებული იყო, ახლა მხოლოდ თავის გადარჩენაზე უნდა გვეზრუნა. დათქმული გვქონდა, გადარჩენილებს წითელი კერპის კატაკომბებში უნდა მოგვეყარა თავი, სადაც პარტიზანები გვეგულებოდნენ.

— ამ ჭაობებთან რომ მიგვიმწყვდიონ, უარესია, — თქვა დენისმა. — მათ ხომ კარგად დაინახეს, საით დავიხიეთ. დაუსჯელად არ დაგვტოვებენ... როგორც კი გონს მოვლენ, ამ ტყიანს სულ გაცხრილავენ.

— მაშინ მაღლა უნდა ავიდეთ, სხვა გზა არა გვაქვს, — ვთქვი მე და ლუნევს შევხედე, — სიარულს შესძლებ? — პასუხს აღარ დაველოდე. დესანტური დანა ამოვიღე ქარქაშიდან და ჯოხის მოსაჭრელად წავედი. მდინარის წყალი შემოსდგომოდა ხის ძირებს, ფეხქვეშ ჭყაპუნობდა. ცოტა ქვემოთ კი ერთიანად იყო დატბორილი ჭალა, ერთგან კლდოვან მეჩეჩს ამოეყო თავი. მეჩეჩზე ბუჩქები იყო და მე მომეჩვენა, რომ ბუჩქი შეინძრა ჩემი გამოჩენისას. ალბათ ფრინველი თუა-მეთქი იქ. ჯოხი მოვჭერი და ამხანაგებისაკენ წავედი.

— ეი, ვინა ხართ? — გამოგვძახა ვიღაცამ. ხმა მეჩეჩიდან მოდიოდა. გავიხედე და დავინახე, ბუჩქიდან გოგონას ამოეყო თავი.

— თქვენები ვართ... რუსები! — გავძახე.

— რაღაცა არ გეტყობა, რომ რუსი იყო, არც ლაპარაკზე და არც ტანისამოსზე.

— სულ ერთია, მაინც თქვენი ვარ... კავკასიელი, ქართველი.

— არც მე მეტყობა, რომ ხახოლი ვარ? — მხარში ამომიდგა ჟურბა და მაშინვე გამაძრო გერმანული კიტელი, აღარც თვითონ ეცვა.

— იქით ნუ წახვალთ, ველი მთლიანად დანაღმულია წითელ კლდემდე. პარტიზანები ალყაში არიან.

— მაშ რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, — სადაცაა ფაშისტები წამოგვეწევიან — იკითხა დენისმა.

მეჩეჩს ნავი გამოეყო, ზედ გოგონა იჯდა და სწრაფად უსვამდა ნიჩბებს. ჩითის დამდნარი კაბის ზემოდან სათბურა ეცვა და გაჩეჩილი ქერა თმა ეყარა მხრებზე.

— აჰა, ეს ტყავი შენ ჩაიცვი, ტოლსტორუკოვმა შენ დაგტოვა თავის ადგილზე, — ჟურბამ ლეიტენანტის ტყავის ქურთუკი მომახურა და დაამატა: საყელოში დამიფრული ცნობებია ჩადებული, როგორც კი საშუალება მოგეცეთ, დიდ მიწაზე გადაეცითო.

მოკრძალება ვიგრძენი ქურთუკის მიმართ, ის ხომ გმირისა იყო და აბა როგორ მოუხდებოდა ჩემს მხრებს! მკლავზე გადავიკიდე.

ნავი ნაპირს მოადგა, ჩავსხედით შიგ და უკანვე გავცურეთ. მეჩეჩს რომ მივუახლოვდით, მაშინღა შევამჩნიეთ ჩვენკენ დამიზნებული ლულა.

— მოაშორე, პაპა, შენი ბერდანკა, უცაბედად არ გაგივარდეს, — გაეცინა გოგოს.

— ვინ არის? — შევეკითხე.

თავის აქნევით მოიშორა შუბლზე ჩამოშლილი თმა და თაფლისფერი თვალებით შემომხედა, თორმეტ-ცამეტი წლისა თუ იქნებოდა.

— პაპა პეტრუსია, მეტსახელად დაუნდობელი. პარტიზანებმა შეარქვეს.

პეტრუსი არც ისე მოხუცი იყო, აჯაგრულ წარბებს ქვემოდან მომზირალი თვალები ეჭვით გვბურღავდა სამივეს. როცა ბეწვიანი ჩაფხუტები დაინახა, ქამრებში რომ გვქონდა გაჩრილი, მაშინღა გაეხსნა სახე.

— ციდან ჩამოხვედით?.. ძაან საქმე დაატრიალეთ მე და ჩემმა ღმერთმა... დიდი აფეთქება იყო, ძალიან დიდი, — ამბობდა და დიდ, ხეშეშ ხელს გვართმევდა.

ამის თქმა იყო და სროლა ატყდა ჭალიანში. ეტყობოდა, ჩვენს კვალს აედევნენ და ტყეს ცხრილავდნენ. პეტრუსი წინ გაგვიძღვა, კოჭამდე წყალში მიტოპავდა და გვეუბნებოდა:

— ნიადაგი არ გეგონოთ, ძველ ჯირკვებზე გაკიდული დაწნული ფიჩხის გზაა, ვიწრო ბილიკია, ფეხი არ აგიცდეთ, თორემ, ცივი წყლის აბაზანა გამოწერილია... რომ აღარ გაიყინა ეს ოხერი! ლელმა აქვს ეს მესამე დღეა.

კლდოვანი ფლატის ძირამდე ამ წყალქვეშ გადებული უჩინარი ხიდით ვიარეთ. მერე პეტრუსი კლდის ძირას გაბარდღულ ბუჩქებში გაქრა.

— რა გქვია, გოგონი? — შევეკითხე ქერათმიანს.

— ლიკა.

ჩემს გვერდით იდგა და ცნობისმოყვარეობით მათვალიერებდა.

— კომისარი ხარ?

არა-მეთქი, თავი გადავაქნიე და მაშინვე მივხვდი, რადაც მკითხა, — ტყავის ქურთუკი ჩემი ეგონა.

ბუჩქიდან პეტრუსი გამოვიდა და მომყევითო, გვანიშნა. ვიწრო ხვრელში აღმოვჩნდით და მერე ფორთხვით განვაგრძეთ გზა, ვიდრე განიერ ქვაბებში არ ამოვყავით თავი.

ვადარჩენილი პარტიზანები სულ ექვსნი იყვნენ. მეთაურის მოვალეობას ორმოციოდე წლის კაცი ასრულებდა. გორბუნს ეძახდნენ. მასწავლებელი ყოფილა.

— სულ თერთმეტნი გადავრჩით იმ მძიმე ბრძოლებიდან, მაგრამ ხუთი კაცი აქ დაგველუპა, როცა ამ ნაღმებით გვარტყამდენ რკალს... როგორ დაგვინაღმეს ცხვირწინ მთელი მინდორი არ იკითხავთ?.. იქნება გგონიათ, შიშით ცხვირი ვერ გავყავით გარეთ. მთავარ შემოსასვლელთან დოტები გვაქვს მოწყობილი.

გორბუნი წინ გაგვიძღვა ვიწრო გასასვლელით და მარცხენა „დოტში“ გაგვიყვანა, რომლის სათოფური მთელ მინდორს უწევდა კონტროლს.

— ასეთივე სიმაგრე გვაქვს მარჯვნივაც. გვაქვს აგრეთვე წინ წაწეული „დოტიც“, ხედავთ ოდნავ ქვემოთ ბეტონის ჯავშანს? მაგასაც მიწისქვეშა გასასვლელით ვუკავშირდებით, მაგრამ მაინც დაგვინაღმეს ყველა გასასვლელი. გახვალ კი, მაგრამ ოციოდე ნაბიჯს წასდგამ და დანაღმული მინდორი იწყება. მაინც არ იკითხავთ როგორ დაგვინაღმეს ცხვირწინ მთელი მინდორი? სოფელი აყარეს და წინ გამოირეკეს, ქალები და ბავშვები მოდიოდნენ, უკან კი ფაშისტები მოჰყვებოდნენ და

ნალმავდნენ. სულ ბოლოს, უკან გასასვლელად, ერთი ვიწრო ზოლი მოიტოვეს, იქიდან გაიყვანეს ყველა, გარდა ოციოდე მოხუცი ქალისა და ბავშვისა, რომლებიც ზღუდედ იდგნენ და მათ უკანდახევას ფარავდნენ. გვეგონა მათაც გაიყვანდნენ, მაგრამ თურმე მათ უკან თანდათან ინაღმებოდა ის გასასვლელი. ყველაფერი რომ მოამთავრეს, ტყვიამფრქვევის ჯერი მოუშვეს ქალებისაკენ... მათგან მხოლოდ ეგ გოგო გადარჩა, გვამებს ქვეშ მოჰყოლოდა და იმან გადაარჩინა.

მდუმარენი ვუსმენდით გორბუნის მონაყოლს და მრისხანებით გვევსებოდა გულები. დახოცილი ბავშვები და ქალები იქვე შესასვლელთან დაუმარხავთ ღამით.

— ფაშისტებს ჰგონიათ, წყალიც არა გვაქვს, დღესხვალ ელიან ჩვენს დანებებას. წყალი კი გვაქვს, მაგრამ სურსათი შემოგვაკლდა. მდინარე რომ გაეყინა, გვეშველებოდა, გაღმა გავიდოდით, ახლა კი სად წახვალ, გაღმა ნაპირი სულ გაუვალი ჭაობებია... გაღმაც და გამოღმაც... მთელი იმედი ხსნისა მდინარის გაყინვაზე გვაქვს დამყარებული.

მთავარ ქვაბში დავბრუნდით და იქ განვაგრძეთ თათბირი. დიდი მიწიდან წამოღებული სამი დღის საგზალი ხელუხლებლად გვქონდა რუკზაკებში, ლიკას ფერად ქაღალდში შეხვეული შაქრის ფილები ვაჩუქეთ და ყველანი ერთად დავნაყრდით.

— ჩვენ შეგვიძლია ღამღამობით გავნაღმოთ აქედან გასასვლელი, ვიწრო ბილიკი გავკვალოთ და ქვემო წელისაკენ გავაღწიოთ, — ვუთხარი გორბუნს. — ლუნევი დაჭრილია, მაგრამ მე და ჟურბასაც შეგვიძლია მესანგრეობა გავწიოთ...

დავთქვით, რომ მე და ჟურბა ღამით გავიდოდით ნაღმების გასაუვნებლებლად, თან ერთ-ერთი პარტ[illegible] მოგვყვებოდა და გვიჩვენებდა, რა მიმართუ[illegible] ვეკვალა გასასვლელი. იმედს იმედი მიემატა და ვუნება ცოტა გამოგვიკეთდა, მხოლოდ კორშუნოვის ჯგუფის დარდი გვქონდა და დაღუპულ ამხანაგებზე ვნაღვლობდით.



— ფრონტზე რა ამბებია? — გვკითხა გორბუნმა.

— ოცდახუთი ნოემბრიდან ჩვენები კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ სტალინგრადთან, გერმანელების წინსვლა ყველგან შეჩერებულია, — ვუპასუხე.

ღამით მე, ჟურბა და პეტრუსი გასანაღმავად წავედით. შაშხანის ზუმბები გვეჭირა, ფრთხილად ვსინჯავდით მიწას და ჩახმახშემართულ ნაღმებს ვპოულობდით. ფაშისტებმა გაგვიგეს, მანათებელი შუშხუნა გამოჰკიდეს ჰაერში და სროლა დაგვიწყეს.

სხვა გზა არ იყო, როგორც კი შუშხუნა ჩაქრა, უკან დავბრუნდით. ამის შემდეგ ფაშისტები მთელ ღამეს აშუქებდნენ კლდის მისადგომებს.

ერთ დღეს კიდევ ვიყავით ალყაში, ღამით კვლავ ვცადეთ გასვლა, მაგრამ ამაოდ. ერთადერთი იმედიღა გვრჩებოდა — ყინვა.

მესამე დილით კი ყველანი ფეხზე წამოგვყარა პეტრუსის შეშფოთებულმა ყვირილმა:

— უყურეთ, რას შვრებიან ქვეწარმავლები!..

ყველანი „დოტებში“ გავიკრიფეთ და მინდორს გავხედეთ. დანაღმული ზოლის მიღმა ქალები, ბავშვები და მოხუცები იდგნენ. გერმანულ ფარაჯაში გამოწყობილი გამყიდველი გამოდგა წინ და რუსულად გამოგვძახა:

— პარტიზანებო, თუ ახლავე არ დანებდებით, ამ ბავშვებსა და ქალებს გამოვრეკავენ დანაღმულ მინდორზე. გესმით?

გორბუნი ტუჩებს იკვნეტდა, სამშობლოს გამცემი მიზანში ჰყავდა ამოღებული, მაგრამ როგორ ესროდა, — მის უკანაც და მის გვერდითაც ქალები იდგნენ.

ფარაჯიანმა ხელმეორედ გაიმეორა ჰიტლერელთა მოთხოვნა.

მოფიქრებისათვის ხუთი წუთი მოგვცეს დრო.

— უნდა გავიდეთ, — კბილებში გამოსცრა გორბუნმა, — იქ ჩემს მოსწავლეებს ვხედავ...

— გავიდეთ! — ერთხმად უპასუხეს პარტიზანებმა.

— შენ, ლიკა, საპალავით გადი, ნავი ჩაძირე და მოუსვი. ჩვენ რაკი დაგვინახავენ, შენთვის აღარავინ მოიცლის. პირდაპირ შინ წადი. — გორბუნი ახლა ჩვენ მოგვიბრუნდა: — თქვენ კი, ამხანაგებო, წინ წაწეულ დოტში გადით, თქვენ სათვალავში არ ჰყავხართ ფაშისტებს, იქ ჩასანგრდით, რაკი დაჭრილი ამხანაგის მიტოვება არ შეგიძლიათ... ან, თუ შესძლებთ, სულაც გაეცალეთ აქაურობას...

ეტყობოდა, მიიწურა მოფიქრებისათვის განკუთვნილი დრო. ფაშისტებმა ავტომატების ლულებით დაუწყეს ცემა ხალხს და დანაღმული მინდვრის გასწვრივ გაამწკრივეს...

იმავე წამს გორბუნმა შაშხანის ლულას თეთრი ცხვირსახოცი შეაბა და გარეთ გაჰკიდა...

ჯერ გორბუნი გავიდა და ზანტად ასწია ხელები, მას პეტრუსი მიჰყვა, მერე ცალთვალა პეტრო, შავტუხა და ხმელხმელი გრაჩი, თავშებანდული კეშა და აჯაგრული ცალხელა ბოგდანი...

ლიკაც იწევდა გასასვლელად, მაგრამ ხელი მოვკიდე და უკან წავიყვანე. გოგონა ძალით გავისტუმრეთ საიდუმლო გასასვლელისაკენ და ლოდით ამოვუქოლეთ უკან დასაბრუნებელი გზა... აქ დარჩენა სიკვდილს ნიშნავდა.

— თქვენ წადით... იარაღი დამიტოვეთ და წადით, —

სიცხიან ტუჩებს ილოკავდა ლუნევი, — იქნება გაალღწიოთ...

რას ვიფიქრებდით, რომ ასე გაუავდებოდა ჭრილობა. მდინარის გაყინვამდე თუ დაგვაცლიდნენ ფაშისტები, თორემ სხვანაირად ლუნევს სამშვიდობოს ვერ გავიყვანდით, ამას სამივე კარგად ვგრძნობდით.

— გორბუნმა კარგად გვირჩია, წინ წაწეულ დოტში გავიდეთ და ტყვიამფრქვევი დავდგათ სათოფურთან, — ვუთხარი ქურბას და დენისს მოვკიდე ხელი...

სათოფურთან რომ მივხოხდით, დავინახეთ, პარტიზანებს უკვე გაევლოთ დანაღმული ზოლი. მდინარისპირა ბორცვთან ნიჩბებით მომუშავეებს მეავტომატეები ადგნენ თავს. მივხვდით, მათ საკუთარ საფლავებს ათხრევინებდნენ...

მალე ავტომატების ბათქი მოგვესმა. პარტიზანებს ხვრეტდნენ...

შეუმჩნევლად ჩამოღამდა. მხარიმხარ ვიწექით. გვციოდა. ლუნევი კი სიცხიანი იწვა და სრულებით ვერ გრძნობდა, როგორ მატულობდა ყინვა...

მეორე დილით ქვაბურისაკენ ჯგროდ წამოსული გერმანელები დავინახეთ. ისინი ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე თავაღებულები მოდიოდნენ, ალბათ იარაღისა და ალაფის ასაკრეფად მოეშურებოდნენ...

ტყვიამფრქვევი გავამზადე, სათოფურიდან ოდნავ გავაყოფინე ლულა და დავუმიზნე, ქურბამაც ჩემს გვერდით დაიკავა ადგილი ავტომატით ხელში. დენისიც მოფორთხდა. სულ ახლოს მოვუშვით და მერე მიჯრით გავუხსენით ცეცხლი...

— ტოლსტორუკოვისათვის, მანუნიასათვის, პარტიზანებისათვის! — კბილებში სცრიდა სიცხიანი დენისი.

ფაშისტები უთავბოლოდ გარბოდნენ...

— სიკვდილი, ქვეწარმავლებს! — გმინავდა ლუნევი და გაფთრებით ისროდა.

ტანკი წამოვიდა...“

•

ბავშვები იმ ბეტონის სიმაგრესთან იდგნენ, სადაც ეს ჩანაწერები შეწყდა ოცდაათი წლის წინათ.

— თუ როგორ დაიღუპნენ, ამ ბლოკნოტიდან არ ჩანს, მაგრამ დეიდა გლიკერიას ჩანაწერები...

ვესტამ მკლავზე ხელი მოჰკიდა ელისას და შეაწყვეტინა...

— დეიდათქვენი ის ლიკა ხომ არ იყო, რომელიც აქ იხსენიება?

— მაგას რაღა მიხვედრა უნდა, — ჩაიბურტყუნა გრიზლიმ.

ელისამ რვეული გაშალა.

— ერთგან ვკითხულობთ: „ფაშისტებმა მესამე დღეს კიდევ ორი გვამი გამოიტანეს წითელი კერპის ქვაბურიდან, მაგრამ ვინ იყვნენ ისინი, ახლოს არავის უნახავს...“

— გამოდის, რომ ერთი მათგანი მაინც გასულა აქედან, საბოლოოდ გადარჩა თუ არა, ვინ იცის, — დაასკვნა ოსკარმა.

— დიახ, ერთი გადარჩენილა, მაგრამ რომელი, ეს არც ამ ჩანაწერების ავტორმა იცის. აბა მოუსმინეთ: „...როგორც კი ვარსკვლავიანმა ტანკებმა გამოიარეს ჩვენს სოფელზე, მაშინვე წითელი კერპის მიდამოებისაკენ გამიწია გულმა. ადრიანი გაზაფხული იდგა, ველი ყვავილებით იყო მოჩითული — პირველი ენძელებით... დავკრიფე და პარტიზანების საფლავთან მივიტანე... მერე კლიდსაკენ წავედი და მოწიწებით გადავაბიჯე მის ზღურბლზე... დაქანგებული მასრები ეყარა მხოლოდ... საიდუმლო ხვრელისაკენ წავედი... ის ლოდი აეცალათ, მაშინ მე რომ მომიქოლეს უკან დასაბრუნებელი გზა/ ჩანს, ვიღაცას დასჭირდა. ამ ფიქრმა მიბიძგა, ხვრელი შეუსვენებლივ გამატარა და ფიჩხით მოწნული [illegible] გზას გამიყენა. კლდოვან მეჩეჩზე გავედი და უეცრად შევკრთი, უკან დავიხიე... იელის ბუჩქზე ტყავის ქურთუკი ეკიდა, სწორედ ის ქურთუკი, იმ შავგვრემანი ჯარისკაცის მკლავზე რომ ვნახე გადაკიდული... ნუთუ გადარჩა?.. თუ გადარჩა, აქ რატომ დატოვა?.. იქნება აქ რაიმე საიდუმლო დოკუმენტებია და, რომ გადაერჩინა, იმიტომ გამოიტანა და ისევ შებრუნდა. მაგრამ ფაშისტებმა ხომ მხოლოდ ორი გვამი იპოვეს... მაშასადამე, გადარჩა. შესაძლოა, ამხანაგებმა აიძულეს, წასულიყო... და რაკი სარისკო იყო, იფიქრა, ქურთუკს დავტოვებ საიდუმლო ქაღალდებით და ცარიელი ვცდი ბედსო... ნეტა გასცდა თუ არა ალყას?..

ქურთუკის ჯიბეები მოვსინჯე და შიგ დიდი, სქელი კონვერტი აღმოვაჩინე...“

— აი თურმე ვის ელოდა დეიდა გლიკერია სულ ბოლომდე, ჩვენ კი რა ვიცოდით, სრულ ჭკუაზე არ გვეგონა, — დაფიქრებით ჩაიბუტბუტა ოსკარმა.

— გამოდის, ერთი კაცი აკლია სათვალავს. ყველა ვარაუდით, იგი გასულა ქვაბურიდან, მაგრამ რომელი იყო ამ სამიდან, აი ეს არის საინტერესო, — თქვა ჯუბიმ.

— ცხადია, გელიაშვილი გავიდოდა, ქურთუკი ხომ მისი იყო, — უპასუხა ვესტამ.

— ნურას უკაცრავად, ქურთუკი სულაც არ ყოფილა



მისი. მას ჩააბარეს, როგორც კომისრის მოადგილეს, მაგრამ გასაჭირის ჟამს ვისაც შეეძლო ის გაიტანდა, მის საყელოში ხომ საიდუმლო ცნობების შიფრი იყო ჩაკერებული, — დინჯად გაეპასუხა გრიზლი.

— მაშ ვინ აკლია? — ეს კითხვა უპასუხოდ გვრჩება, — დაასკვნა ოსკარმა.

— საძმო საფლავში დამარხულთა სიაში სამივეს შევიტანთ და ეგ იქნება. სულ ერთია, ცოცხალი არავინ დარჩენილა, — თქვა გრიზლიმ.

— არა, ჯერ შეტყობინებას უნდა დაველოდოთ საჰაერო-სადესანტო ჯარების მუზეუმიდან, — შეეკამათა ელისა.

ბავშვები თავჩაქინდრულები მიდიოდნენ. კორდიანზე ყორღანებთან შეჩერდნენ და შემოდგომის ყვავილები

უხმოდ დააწყეს აქამდე მუჭებში რომ ეჭირათ. ხმა აღარავის ამოუღია, ისე გაეცალნენ იქაურობას.

გზატკეცილთან შედგნენ ავტობუსის მოლოდინში.

— იმ ქურთუკში სინამდვილეში დევს კი დაშიფრული ქაღალდი? — იკითხა ჯუბიმ.

— მაშ როგორ? ამოვიღეთ კიდეც. ქაღალდიც ექსპოზიციაში ჩავრთეთ და ქურთუკიც იქ გვიკიდია. — უპასუხა გრიზლიმ.

— იმ ცნობებს ახლა მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატის მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, რას იტყვით, ხომ საინ-



ტერესოა, რას ატყობინებდა ფრონტის სარდლობას ლეიტენანტი ტოლსტორუკოვი? — თქვა ოსკარმა და თვალები ჯუბის მიაპყრო.

— მართლაც საინტერესოა, რა წერია.

— როცა გავაშიფრინებთ, გამოგიგზავნით, შესაძლოა გაზეთშიც გამოვაქვეყნოთ, — დაბეჯითებით ამბობდა გრიზლი.

— როდის მიემგზავრებით? — ჰკითხა ელისამ ჯუბის.

— მეოთხედის ბოლოს.

— შენა? — ახლა ვესტას მიუბრუნდა.

— მეც ასევე.

ავტობუსი გამოჩნდა. ოსკარმა ჯუბის მოჰკიდა ხელი და განდობილად უთხრა:

— იცოდე, რასაც კი მოიძევ, ყველა ცნობა უნდა გამოგვიგზავნო ვალერიან გელიაშვილის ირგვლივ. კარგი?

ჯუბიმ თავი დაუქნია, ამხანაგებს დაემშვიდობა და ვესტას დაეხმარა ავტობუსში ასვლაზე.

ექიმის პალატაში მყუდროება სუფევდა.

თეთრხალათიანი ფრიდა კარლოვნა ჯუბის წინ იდგა და უკანასკნელ დარიგებებს აძლევდა, შინ როგორი რეჟიმი დაეცვა.

— შენ იმდენი მეგობარი გაიჩინე, კიდევაც რომ არაფერი აგტკივდეს, მაინც ჩამოხვალ სამერმისოდ, არა? — შესციცინოდა ბიჭს.

ჯუბიმ გულის ჯიბეზე გაიკრა ხელი. გაკეცილი გაზეთი გაშალა და ამაყად შეხედა ექიმს.

— ფრიდა კარლოვნა, ეს ვალიკო გელიაშვილია, — აჩვენა გაზეთში გამოქვეყნებულ სურათზე. — ვეჩერნიცას მიდამოებში სტალინგრადიდან გადმოსხმულ საჰაერო დესანტს ჩამოჰყოლია და აქ გამართულ ბრძოლებში გმირულად დაღუპულა... აი ამ სადესანტო ჯგუფის თავგადასავალს ვსწავლობდით, მათ ნაკვალევს ვეძებდით და იმიტომ ვიპარებოდი ზოგჯერ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გაზეთია? — იკითხა ექიმმა.

— პიონერული გაზეთია, ქართული. თბილისიდან გამომიგზავნეს ამხანაგებმა. მამაც ფრონტზე დაღუპვია ამ ბიჭს, ბიძაც. დაუკრავს ფეხი და თვითონაც მათ გზას დასდგომია... მხოლოდ ერთი წერილის გაგზავნა მოუსწრია და სურათიც მაშინ გაუგზავნია დედისათვის.

— საბრალო ბიჭი, — ფრიდა კარლოვნა დამწუხრებული სახით აკვირდებოდა სურათს. — აი ხედავ, რა ძნელია აპატიო დანაშაული თუნდაც მიცვალებულებს... ამას წინათ რომ გეუბნებოდი...

ექიმმა კარის ზღურბლამდე მიაცილა ბიჭი.

დერეფანში ვესტა ელოდა. ორივენი ჯუბის პალატისაკენ გაემართნენ. უკვე გამზადებულ ტყავის ჩემოდანზე დაკეცილი ლაბადა იდო. მათ დანახვაზე ფანისმა ჩემოდანს წამოავლო ხელი და გასაცილებლად მოემზადა. ლაბადა ვესტამ აიღო.

— რა მართლა ავადმყოფსავით მაცილებთ, — გაეცინა ჯუბის. წიგნებით გატენილი საქაღალდე იღლიაში ამოიჩარა და ჩემოდნის გამორთმევა დაუპირა ბიჭს, ფანისმა არ დაანება.

— აბა, თქვენ იცით, ზოლკელები აუცილებლად ჩამოვლენ საღამომდე, ეგ გაზეთი და წერილის თარგმანი დაახვედრეთ და ჩემგან მოკითხვაც არ დაგავიწყდეთ.

— მოვასწრებთ ყველაფერს. ჩემი მატარებელი საღამოს ათ საათზე გადის, — უპასუხა ვესტამ.

— ჩემი კი ხვალ დილით, — დაუმატა ფანისმა.

სადგურამდე ტაქსით იმგზავრეს. მოსაცდელ დარბაზში არ შესულან, პირდაპირ ბაქანზე გავიდნენ და იქ დაელოდნენ მატარებელს.

— როგორ მეწყინა, რომ დედა აღარ ჰყოლია, — ვესტამ კიდევ ერთხელ გაშალა გაზეთი, — ეს ამბავი მაინც გაეგო იმ უბედურს, შვილის გმირობის ამბავი.

სურათიდან სამხედრო ფორმაში გამოწყობილი პირტიტველა ბიჭი შემოჰყურებდა მათ.

გაზეთი ახლა ფანისს ეჭირა.

ბაქანზე ოსკარი და ელისა გამოიჭრნენ და მერე გრიზლიც შემოგორდა ქაქანით.

— ხომ მოგისწარით. — მხიარულად ამბობდა ოსკარი, — შენ კი გაპარვას აპირებდი, — მკლავზე ხელი მოჰკიდა ჯუბის.

ელისამ გაზეთს დახედა.

— ვინ არის? — იკითხა და ფანისს ხელიდან გამოსტაცა.

— ვალერიან გელიაშვილი, — უპასუხა ვესტამ.

— მართლა? — ელისას თვალები გაუფართოვდა.

ოსკარიც გაზეთს დასჩერებოდა.

— თბილისიდან გამომიგზავნეს ჩვენი სკოლის წითელმა კვალმაძიებლებმა. ვესტასთან ვტოვებდი და აი თქვენც მომისწარით, —ეუბნებოდა ჯუბი და თან თვალებით შეჰხაროდა მეგობრებს.

— კი მაგრამ, ეს ხომ ქართულადაა, რა უნდა გავუგოთ? — როგორც იქნა მოითქვა სული გრიზლიმ.

— თარგმანი ახლავს, — მიუგო ფანისმა.

— ჩემი თარგმანი, — დაუმატა ვესტამ.

— ყველა ამბის დასასრული კი მაინც ჩვენ მოვიტანეთ, — თქვა ელისამ და გაკეცილი კონვერტი გაშალა, იქიდან ნაბეჭდი თაბახი ამოიღო და ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

„თქვენს შეკითხვაზე გიპასუხებთ არქივში არსებული მონაცემების მიხედვით: 1942 წლის 19 ნოემბერს ვეჩერნიცას მიდამოებში გადასხმულ იქნენ მედესანტეები.

თექვსმეტი კაცის შემადგენლობით. ჯგუფს მეთაურობდა კაპიტანი კორშუნოვი. ამავე ჯგუფში იმყოფებოდა გამოცდილი ჩეკისტი ლეიტენანტი ტოლსტორუკოვი... ჯგუფმა შეასრულა მასზე დაკისრებული მძიმე დავალება, მაგრამ უკან არავინ დაბრუნებულა.

ვეჩერნიცას მიდამოებში მოქმედი დამსჯელი ორგანოების არქივის გადსინჯვისას, რომელიც ჩვენს ჯარს ჩაუვარდა ხელში, ომის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ წავაწყდით ასეთ ცნობას:

„გ. ფ. პ. (საველე საიდუმლო პოლიცია) 724... 4.12.42 წელი.

„სოფელ ზოლკას საპატრულო ჯგუფის მიერ მოულოდნელად შეპყრობილ იქნა ერთი რუსი, რომელიც მფრინავად ასაღებდა თავს. შეიარაღებული იყო ავტომატითა და ხელყუმბარებით. დაკითხვის დროს დაასახელა გვარი... ქურბინი... სხვა ჩვენებების მოცემაზე, მიუხედავად წამებისა, უარი თქვა. დახვრეტილ იქნა“.

ეს ცნობა გვაფიქრებინებს, რომ ფაშისტებს ხელში ჩაუვარდათ რიგითი ქურბა ვალერი პავლეს ძე, რომელიც იმ საჰაერო სადესანტო ჯგუფში ირიცხებოდა, რომლის ბედიც თქვენ გაინტერესებთ...

პატივისცემით, გადამდგარი პოლკოვნიკი ა. ნოვიკოვი“.

ბავშვები ერთხანს უხმოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— ქურბა გასულა, ხომ? — დუმილი დაარღვია ვესტამ.

ელისამ მძიმედ დაუქნია თავი.

მატარებელი ჩამოდგა, ჯუბი სათითაოდ დაემშვიდობა ამხანაგებს.

— ჯუმბერ, იცოდე, აუცილებლად უნდა ჩამოხვიდე ჩვენი მუზეუმის გახსნაზე, — უთხრა ელისამ.

— და თან დამატებითი ცნობები უნდა ჩამოგვიტანო ქართველ გმირზე, — დაუმატა ოსკარმა.

ჯუბიმ ჩემოდანი გამოართვა ფანისს და თავის ვაგონისაკენ გაიქცა. სწრაფად მოძებნა ბილეთში ნაჩვენები კუპე, ბარგი დააწყო და ისევ კარისაკენ გაქანდა. მატარებელი აიძრა და ნელა ჩაუარა ბაქანს, სადაც ისევ ჯგუფებად იდგნენ გამცილებლები.

ოსკარი, ვესტა, გრიზლი, ელისა და ფანისი ხელებაწეულები ემშვიდობებოდნენ, რაღაცას უყვიროდნენ, მაგრამ ჯუბი სიტყვებს ვერ არჩევდა, მხოლოდ ღიმილითა და ხელის ქნევით პასუხობდა.

მატარებელმა სვლას უმატა და მალე თვალს მიეფარა ბაქანი. ჯუბი კუპეში შებრუნდა, სარკმელთან მიდგა და სივრცეს გახედა. მატარებელი უკვე გაშლილ ტრამალში მიჰქროდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# PATRIA ქართულად სამშობლოს ნიშნავს

„ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია,
სანამ გმირმა შენთვის სული დალია,
თქვა: სამშობლო უპირველეს ყოვლისა“.

გალაკტიონ ტაბიძე

არ არსებობს იმაზე კეთილშობილური მისია, ვიდრე გიყვარდეს სამშობლო, შენი ხალხი, პირუთვნელად ემსახურებოდე მისი აყვავებისა და განვითარების საქმეს, შეგეძლოს საკუთარი სიცოცხლეც კი შესწირო მის ბედნიერებას.

მშობლიური მიწისა და ხალხის სიყვარული ის დადებითი თვისებაა, რომელიც აუცილებელია ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის, ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, მეგობრობა, ძმობა.

სამშობლოს გარეშე ჭეშმარიტი ბედნიერება არ არსებობს, სადაც არ უნდა იყოს ადამიანი და რაოდენ კარგ პირობებშიც არ უნდა ცხოვრობდეს, მისთვის ყოველივე იქნება მეორეხარისხოვანი, თუკი არ შეეძლება თავის ხალხის სიახლოვისა და მშობლიური მიწის სითბოს განცდა. ტყუილად კი არ ამბობს რაფიელ ერისთავი:

არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს,
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.

ქართველ ხალხს სამშობლოს თავდადებული სიყვარულის შესანიშნავი ტრადიციები აქვს. უძველესი დროიდან დღემდე შევძელით შეგვენარჩუნებინა და მოგვეტანა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, თუმცა ავადსახსენებელი არაბების, თურქსელჯუკების, მონგოლებისა და სხვა მრავალ დამპყრობთა ბატონობის პერიოდში უმოწყალოდ ირბეოდა ქვეყანა. ქართველმა ხალხმა შეძლო სამშობლო განადგურებისაგან ეხსნა, თუ არა მშობლიური ქვეყნისადმი განუზომელი პატრიოტული გრძნობა, არ გვეყოლებოდა ცოტნე დადიანი, ქეთევან დედოფალი, გიორგი სააკაძე, სამასი არაგველი და მრავალი სხვა, რომელთა სახელებიც შარავანდედით ამკობენ საქართველოს ისტორიას.

მოდით ამჯერად ვისაუბროთ პატრიოტიზმზე, რას ნიშნავს ეს, ვინ არის პატრიოტი, რა არის პატრიოტისათვის დამახასიათებელი, რა უპირატესობა აქვს საბჭოთა პატრიოტიზმს?

პატრიოტიზმი წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან — „Patria“ და ქართულად სამშობლოს ნიშნავს. მშობლიური მიწა-წყლისა და ხალხის, საკუთარი კულტურის, მისი გარდასული ისტორიისა და დღევანდელი დღის სიყვარული, რწმენა უკეთესი მომავლისა, პატრიოტიზმის ძირითადი განმსაზღვრელია. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, როდესაც საფუძველი ჩაეყარა ცალკეულ სახელმწიფოებს, გაჩნდნენ სხვადასხვა ერები, რომლებიც ამა თუ იმ ტერიტორიაზე სახლობდნენ, ერთ ენაზე მეტყველებდნენ, ერთი ეკონომიური ცხოვრება ჰქონდათ და ახასიათებდათ ფსიქიკური ერთობა, ჩამოყალიბება იწყო

პატრიოტულმა გრძნობამ, რასაც შედეგად მოჰყვა ცალკეულ ადამიანებში პასუხისმგებლობის გაძლიერება მშობლიური ქვეყნისა და ხალხის მიმართ. „პატრიოტიზმი ერთ-ერთი ყველაზე ღრმა გრძნობაა, რომელიც განმტკიცებულია საუკუნეებისა და ათასეული წლების მანძილზე განცალკევებულ სამშობლოთა არსებობით“, — აღნიშნავდა ჩვენი დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი.

პატრიოტიზმი ის მაღალკეთილშობილური გრძნობაა, რომელიც ადამიანში ფარავს ვიწრო პირადულ ინტერესებს და წინა პლანზე წამოსწევს საერთო სახალხოს. ისტორიამ არაერთი მაგალითი შემოგვინახა სამშობლოსათვის უმაგალითო თავდადებისა.

დღეს, როდესაც ვლაპარაკობთ პატრიოტიზმის შესახებ, ვგულისხმობთ საბჭოთა პატრიოტიზმს, რომელიც ვიწრო ეროვნული ჩარჩოებით კი არ შემოიფარგლება, არამედ საერთო სახალხო სახელმწიფოებრივი სიყვარულისა და თავდადების ნიმუშად იქცევა. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ქართველი კაცი, რომელსაც ეყვარება მხოლოდ საქართველო და არა საბჭოთა კავშირი? ცხადია, არა.

პატრიოტიზმის ცნება პიროვნებისაგან მოითხოვს თავდადებულ შრომას, საქმისადმი უანგარო სიყვარულს, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელ ბრძოლას, კეთილსინდისიერებას, თავდადებას. პატრიოტი არ შეიძლება ვუწოდოთ იმას, ვინც მხოლოდ ლიტონი სიტყვებით ცდილობს სამშობლოს სიყვარულის დამტკიცებას, არ სწავლობს, თავს არიდებს შრომას და იოლი გზით ცდილობს მიიღოს საზოგადოებისაგან ბევრად მეტი, ვიდრე პირადად მას შეუქმნია, ასეთები ხომ სასტიკად არცხვენენ თავის ქვეყანას, ხალხს.

ნამდვილი პატრიოტი ისაა, ვინც საკუთარი შრომით, წარჩინებული სწავლით სახელს გაუთქვამს თავის სამშობლოს, აქტიურად მონაწილეობს მისი მატერიალური დოვლათისა და სულიერი კულტურის შექმნა-განვითარებისათვის. თქვენი თანატოლები ხშირად გვეკითხებიან, თუ რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ პატრიოტები იყვნენ. ჩემო პატარა მეგობრებო, თქვენი უპირველესი მოვალეობაა კარგი სწავლა. აქედან ეყრება საფუძველი სამშობლოს სიყვარულს. განა პიონერულმა ორგანიზაციამ და ლენინურმა კომკავშირმა, საბჭოთა სკოლამ არ აღზარდეს სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული ისეთ ახალგაზრდებში, როგორიც იყვნენ: ლიზა ჩაიკინა, ალექსანდრე მატროსოვი, ზოია კოსმოდემიანსკაია, ზოია რუხაძე... განა თქვენ თანატოლთა თავდადებული სწავლისა და შრომითი გმირობის დადასტურება არ არის ის, რომ თბილისის პიონერთა სასახლის მხატვრული კოლექტივები საკავშირო კომკავშირის პრემიით დაჯილდოვდა?

პატრიოტიზმის შედეგია ის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა თავდადებული შრომით ურთულეს ბუნებრივ პირობებში, სტიქიასთან ჭიდილში აშენებს ენგურჰესსა და ბამს, მადნეულსა და ჟინვალჰესს, შრომობს ჩვენი სახალხო მეურნეობის ნებისმიერ უბანზე, ყველგან, სადაც კი საჭიროა მისი სამსახური. ეროვნულ ინტერესთა ერთობლიობა საბჭოთა პატრიოტიზმის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა. აქ იჩენს თავს ხალხთა მეგობრობა და ღრმა ინტერნაციონალური თანამშრომლობა. ნამდვილი პატრიოტი მარტო საკუთარი ერის სიყვარულით კი არ უნდა იფარგლებოდეს, არამედ უნდა შეეძლოს პატივი სცეს და დააფასოს სხვა ხალხის კულტურა, მისი ტრადიციები, თანაუგრძნოს და დაეხმაროს მას, იბრძოლოს მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის; ამის საუკეთესო ნიმუშია, მაგალითად ქართველი გმირის ფორე მოსულიშვილის გმირობა, რომელმაც ფაშიზმისაგან იტალიის განთავისუფლებას შესწირა სიცოცხლე და სამუდამო განსასვენებელიც მის მიწაზე ჰპოვა.

საბჭოთა პატრიოტიზმი, პატრიოტიზმის უმაღლესი ფორმაა, რამდენადაც მას არ ახასიათებს კლასობრიობა და ერებს შორის განსხვავება. ის თავის თავში შეიცავს კომუნიზმის მორალის ძირითად ნიშნებს, რაც ხელს უწყობს ნამდვილი ადამიანური თვისებების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას. შრომის სიყვარული, კოლექტივიზმის გრძნობა, მეგობრობა, შრომის მოყვარეობა, ყოველგვარი მანკიერების წინააღმდეგ ბრძოლის უნარი, ჰუმანურობა, სიყვარული, გულწრფელობა, პრინციპულობა, ხასიათის სიმტკიცე, თავმდაბლობა, პატიოსნება, თავდადება და გმირობა — აი ყოველივე ის, რაც ნებისმიერ კარგ ადამიანს უნდა ახასიათებდეს. თუ გინდა პატრიოტი იყო, ჯერ კარგი მოქალაქე უნდა იყო, პირნათლად უნდა ასრულებდე შენზე დაკისრებულ მოვალეობას და მუდამ იბრძოდე ხალხის კეთილდღეობისათვის. პატრიოტობის გამოსავლენად სულაც არ არის საჭირო განსაკუთრებული გმირობის ჩადენა, ან საგანგებო მონაცემები, დაე შენმა ყოველდღიურმა საქმიანობამ აჩვენოს — ვინ ხარ შენ!?

პიროვნების ჩამოყალიბება ბავშვობიდანვე იწყება, ამიტომ პატარაობიდანვე უნდა გამოიკვეთოს თქვენი დამოკიდებულება სწავლისადმი, შრომისადმი, უფროსებისადმი, თანატოლებისადმი.

შრომა აკეთილშობილებს ადამიანს და მის ცხოვრებას უფრო ლამაზსა და მიმზიდველს ხდის. ჩვენს ქვეყანაში შრომა თავისუფალია ექსპლუატაციისაგან. ჩვენი ხალხის შრომითი ტრადიციები განსაკუთრებულ გულისხმიერებას მოითხოვს თქვენგან, უნდა შეგეძლოთ არა მარტო დააფასოთ მამაპაპათა სახელოვანი შრომითი გმირობა, არამედ ღირსეული გამგრძელებლებიც იყოთ ყოველივე იმ დადებითი ტრადიციებისა, რაც დღევანდელი წინსვლის თავისებურ წანამძღვარს წარმოადგენს.

მშობლები ხშირად არასწორად იქცევიან, როდესაც მხოლოდ სწავლისაკენ მოგიწოდებენ და არ ცდილობენ, მონაწილეობა მიგაღებინონ სულ უბრალო ფიზიკურ შრომაშიაც კი. გაკვეთილების მომზადებაში მშობელთა აქტიური ჩარევაც თქვენს გაზარმაცებას იწვევს, ასე ეჩვევით სხვის ხარჯზე საკუთარი მოთხოვნილებების იოლად დაკმაყოფილებას. ამ მხრივ სოფელში მცხოვრები ბავშვები უკეთეს პირობებში ხართ, მშობლების მხარდამხარ აქტიურად მონაწილეობთ, როგორც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, ასევე ოჯახურ საქმიანობაშიც. ქალაქელმა ბავშვებმაც უნდა მიბაძოთ თქვენს თანატოლებს, უნდა გახსოვდეთ, რომ გონებრივი და ფიზიკური შრომა მაშინაა კარგი და ნაყოფიერი, როდესაც ერთმანეთს ერწყმის. ეს კი, სხვა ყოველივესთან ერთად, ადამიანის ჯანმრთელობის საწინდარიცაა.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება განაპირობებს ქვეყანაში მატერიალური დოვლათის სიუხვის შექმნას, რაც თავის მხრივ, განსაზღვრავს ჩვენი მორალის ძირითად პირობას — „თითოეულისაგან უნარის მიხედვით“. როდესაც ყოველი ჩვენგანი ჩახვდება, თუ რამდენადაა დამოკიდებული მისი შრომის შედეგზე საერთო დოვლათის სიუხვის შექმნა, მაშინ ყოველი პიროვნებისათვის შრომას ექნება შემოქმედებითი ხასიათი და იგი სიამოვნების მომგვრელი იქნება. გაიხსენეთ სახელოვანი შრომის გმირები, თავდადებით რომ შრომობენ სამშობლოს სასახელოდ. შრომამ არა მარტო შექმნა ადამიანი, როგორც ამას ფრიდრიხ ენგელსი ამბობდა, არამედ კიდეც განსაზღვრა პიროვნების ფორმირება საზოგადოებაში, ეს კი საწინდარია იმისა, რომ გიყვარდეთ სამშობლო, აქტიურად მონაწილეობდეთ მის ყოველდღიურ ცხოვრებაში, აკეთებდეთ კეთილსინდისიერად იმას, რაც თქვენი, როგორც საზოგადოების წევრის, მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობაა. ესეც პატრიოტიზმის ერთ-ერთი ძირითადი მხარეა, რამდენადაც ის აერთიანებს ყველა ზნეობრივ კატეგორიას.

რუსუდან წიქვაძე.

ИМ БОЗБОЧАР ДЛЕТА МОСАГОНЕБЛАД

იმ ბობოქარ დღეთა მოსაგონებლად

# ჯალათი მასწავლებელი

გიორგი მეგრეველი

უნტეროფიცერს რწმენა ჰქონდა გამარჯვების
და ბრძანა:
— ტყვეები დააყენეთ მწკრივად,
გვჭირდება
ვიცოდეთ ცოდნა თითოეულის
და მიზნობრივად
გამოვიყენოთ
ყველა მათი შესაძლებლობა!..
და გამოჰყავდათ, როგორც ცხვრები, უხმოდ ტყვეები...
დამწკრივდნენ ერთად
და ელოდნენ მტრისგან განაჩენს!..
გასცეს ბრძანება:
— მოკლედ იტყვით კითხვაზე პასუხს:
„რით მსახურებდი საბჭოთა კავშირს?!..“
— ვიყავი მწყემსი!..
— ვადნობდი ფოლადს!..
— ვიყავ მკურნალი!..
ისმოდა ირგვლივ
და ოფიცერი ნირს არ იცვლიდა...
და მედიდურად მიაბიჯებდა მწკრივის ბოლოსკენ
და როცა მწკრივი ჩაათავა,
იყო პასუხი:
— ვზრდიდი თაობებს სიმართლით, რწმენით!
და ოფიცერმა იცვალა ნირი!
— წამოიყვანეთ!
და წაჰგვარეს მასწავლებელი!

•

მიართვა ყავა, როგორც სტუმარს,
მერე დაიწყო:
— უძლეველია, იცით კარგად, არმია ჩვენი,
და დიდ ფიურერს ქედს უხრიან კონტინენტები!
კიდევ ცოტაც და... დაიხრება დროშები თქვენი!..
თქვენ ვალად გადევთ ემსახუროთ თვითონ ფიურერს
და აფასებდეთ მის ნიჭსა და გამჭრიახობას,
თქვენ მოამზადებთ ტყვეებს დიდი გერმანიისთვის!..
ბინა გექნებათ შესაფერი, ჩემთან მახლობლად!
— დიდად მავალებთ,
და მზადა ვარ, რომ ვემსახურო
დიდ გერმანიას
და ვადიდო სახელი მისი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გარნიზონის უფროსი



სასაზღვრო ზოლი ყოველდღე იცვლებოდა. მტერი უკან იხევდა და ცეცხლის კლაკნილი ხაზიც დასავლეთისაკენ მიცოცავდა.

სადაცაა ოდერზე ბრძოლის დიდი ხანძარი გაჩაღდებოდა. საბჭოთა ჯარის შენაერთებს რამდენიმე ათეულ კილომეტრზე ერთბაშად უნდა დაეწყოთ მდინარის ფორსირება. ამ ოპერაციაში შოთა შენგელიას საარტილერიო ბატალიონს მხოლოდ ერთ კილომეტრიანი უბანი ჰქონდა მიჩენილი და ბრძანების თანახმად ჯარების სხვა შენაერთებთან ერთად განთიადზე დაიწყებდა სანაპიროს საარტილერიო მომზადება-დამუშავებას. მშვიდობიანობისას სიტყვა „მომზადება“ თუ „დამუშავება“, მეტად რბილი, ცხოვრებისეულია, მაგრამ ფრონტზე ეს სიტყვა სიკვდილთან შებმაა, გამარჯვების რწმენა და მომავლის იმედია. მკაცრია ომის კანონები...

შენგელიას საარტილერიო ბატალიონმა თავის ბრიგადასთან ერთად ომის მეტად გრძელი და მომქანცველი გზა გამოიარა და ოდერის ქვედა წელში საწყისი ზღუდე დაიკავა.

ბრძოლის დაწყებამდე, რამდენიმე საათი რჩებოდა. ამიტომ ჯარისკაცებსა და იმათ მეთაურს შეეძლოთ თვალის მოტყუება, მაგრამ გრძელი მარშებით იმდენად იყვნენ გადაღლილები, რომ ძილიც აღარ ეკარებოდათ. თუმცა რა შეედრებოდა იმ დაღლა-ტანჯვას, რაც მათ 1943 წლის ივლის-აგვისტოში გადაიტანეს: ორიოლთან, მცენსკისთან, ხარკოვთან. მაშინ ძლიერ უჭირდათ მეომრებს. ყუმბარების ცეცხლითა და მზის მცხუნვარებით არაქათგამოცლილები, განუწყვეტელი შეტევა-მოგერიებით, ტანკების, ბომბდამშენებისა და ჰაუბიცების გრიალ-გრუხუნისაგან ნერვებდაძაბულები ძლივსღა იდგნენ ფეხზე, მაგრამ, როცა მძიმე დღეები გავლილია და ჭრილობაც მოშუშებული, გადატანილს მეხსიერება იოლად ივიწყებს, ამიტომ არტილერისტებს არც ის მძიმე და სისხლიანი დღეები აგონდებოდათ, რომელმაც ისინი ოდერთან მოიყვანა, ახლა მთავარი იყო, როგორმე ეს წყალუხვი და ფაშისტების მიერ ყოველნაირად გამაგრებული, დანაღმული მდინარე გადაელახათ.

ჰიტლერელები საბჭოთა მოიერიშეებს ელოდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ისინი შეეჩერებინათ, მაგრამ ჩვენი შემტევი ძალების შეჩერება იმათ ძალასა და ნებას აღემატებოდა, ამიტომაც ფაშისტებმა ზემო სილეზიიდან უკან დაიხიეს.

შოთას ბატალიონი ჯარის სხვა ნაწილებთან ერთად ქალაქ ბეუტენში შევიდა. მეომრებმა ქუდები ცაში შეისროლეს, ომის ცეცხლმა გერმანელთა მიწაზე გადაინაცვლა.

— ეს არ ყოფილა გერმანელთა მიწა, წინათ ის პოლონეთს

— აი, ეს მომწონს — აღტაცებით თქვა ოფიცერმა —
მაშ შეუდექი საქმეს დღეიდან.

გავიდა ერთი,
გავიდა ორი,
გავიდა ათი,
გავიდა ასი დღე,
და ერთ დილას,
როცა ოფიცერს ტკბილად ეძინა,
დაცარიელდა ტყვეთა ბანაკი...



## იმ ბობოქარ დღეთა მოსაგონებლად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველამ ტყისაკენ იბრუნა პირი!
მასწავლებელი ვიწრო სარკმლიდან
უმზერდა, როგორ წავიდნენ სხვები.
სდიოდა ცრემლი, საოცრად თბილი,
და ღამენათევს არ სურდა ძილი!
მზის ამოსვლისას იდგა პირისპირ ოფიცერთან
და სიკვდილს ელოდა!
— პროპაგანდისტო, გვითხარი, ვინ ხარ?!
— ვარ კომუნისტი!
და როგორც ბომბმა, იფეთქა სიტყვამ.
უნტეროფიცერს დაესხა რეტი
და შეშლილივით იყვირა:
— ცეცხლი!
და ავტომატის მთლიანი ჯერი
ვაჟკაცის მკერდზე დაეფინა, ვითარცა სეტყვა...

. . .

სოფლის სკოლაში მათემატიკას ასწავლის კაცი,
არც ლმობიერი და არცა მკაცრი...
და უყვარს ყველას დიდსა თუ მცირეს...
უფროსებისგან გაიგონებთ ხშირ-ხშირად ამას:
ძალიან ჰგავსო დაღუპულ მამას!

ეკუთვნოდა. ჰიტლერელებმა ძალად მიითვისეს. დამპყრობ ურდოების განადგურების შემდეგ სილეზია უთუოდ კვლავ თავის კანონიერ მეპატრონეს დაუბრუნდება, — განუმარტა ჯარისკაცებს შოთა შენგელიამ. მაშინ მეთაურის სიტყვები თუმცა ყურადღებით მოისმინეს, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინცდამაინც არავის მიუქცევია, ჯარისკაცებს მაინც ღრმად სწამდათ, რომ ფაშისტ-დამპყრობთა ტერიტორიაზე იბრძოდნენ. მას შემდეგ განვლო მეოთხედ საუკუნეზე მეტმა, შოთამ ერთ-ერთი თავის მებრძოლისაგან ბარათი მიიღო:

პატივცემულო, შოთა იოსების ძევ!

როგორც მამაცი, გამჭრიახი მეთაური და უაღრესად სამართლიანი ადამიანი, თქვენი მებრძოლებისათვის მუდამ იყავით მისაბაძი და სამაგალითო. თქვენი სიტყვის სიმართლეში არასოდეს არავის არ შეპარვია ეჭვი. თქვენი ისევე გვჯეროდა, როგორც გამგონე ბიჭუნას სჯერა ხოლმე მშობლისა. მაგრამ იმ საშინელი ომის დღეებში, როცა ჩვენ სილეზიაში შევედით, გვჯეროდა, რომ მოწინააღმდეგეს საკუთარ მიწაზე ვებრძოდით. ეს დიდად გვახარებდა და გვახალისებდა. მაშინ თქვენ თქვით, რომ სილეზია პოლონელებისააო. საწინააღმდეგო არავის უთქვამს, საამისო არც ცოდნა გვქონდა და არც გამბედაობა.

ახლახან პოლონეთში ვიმოგზაურე: ჩვენი ნაბრძოლი მიდამოები დავათვალიერე, ვიყავი სილეზიაში და აი, აქ თქვენი წინასწარმეტყველური სიტყვები მომაგონდა — სილეზია დღეს მართლაც თავის კანონიერ მეპატრონეს ეკუთვნის.

პატივცემულო, შოთა იოსების ძევ! თქვენდამი, როგორც დაკვირვებული და განათლებული ადამიანისადმი, უდიდესი პატივისცემა ვიგრძენი, და მე აღარ შემეძლო ეს ჩემი უდიდესი პატივისცემა და აღტაცება თქვენთვის არ მომეწერა.

მუდამ პატივისცემით, ყოფილი მემიზნე
ი. ა. ვ ო რ ო ნ კ ო ვ ი.

ბრძოლები სულ უფრო სასტიკ ხასიათს იღებდა. ფაშისტები არც ერთ მტკაველ მიწას უბრძოლველად აღარ თმობდნენ.

ზამთრის ჯანღიანმა დღეებმა უკან დაიხიეს, გაზაფხულის სიომ დაუბერა. მებრძოლები გახალისდნენ. სამი ფრონტის უდიდესი შენაერთი დიდი წარმატებებით ბერლინისაკენ მიიწევდა.

დივიზიამ, სადაც შენგელიას საარტილერიო ბატალიონი შედიოდა, ქ. ბლეხამერი აიღო და ოდერტალის მიმართულებით დაიწყო შეტევა. მოზრდილი და ძლიერ გამაგრებული ქალაქისათვის ორი დღე გაგრძელდა მძიმე ბრძოლები. ბოლოს გერმანელებმა დატოვეს ქალაქი. შენგელია კორპუსის მეთაურის შტაბში გამოიძახეს და ოდერტალის გარნიზონის უფროსობა შესთავაზეს. ახალმა და მისთვის უჩვეულო წინადადებამ იგი შეაცბუნა. უარის თქმაც სცადა, მაგრამ სარდლის ბრძანება უსიტყვოდ უნდა შესრულებულიყო და ისიც ქალაქის გამგებელი გახდა. ბუნებით სამართლიანი, წესრიგის მოყვარული მაიორი, თავის ხელქვეითებისაგანაც წესრიგს, მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ლმობიერებასა და საბჭოთა მეომრის ღირსების გაფრთხილებას მოითხოვდა და შოთამ იმ უცხო ქალაქშიც დიდი პატივისცემა და მთავრობის ჯილდო — სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი და უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა დაიმსახურა.

ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ იგი კარგა ხანს დარჩა საბჭოთა არმიის რიგებში და მხოლოდ 1947 წლის დეკემბერში დემობილიზაციით მშობლიურ აბაშაში დაბრუნდა.

მშვიდობიანი ცხოვრება თავის მძლავრ კალაპოტში დგებოდა. შოთა შენგელიას პარტიის აბაშის რაიკომის პირველ მდივნად ნიშნავენ. იგი მისებრ გულმოდგინებითა და ენერგიით იწყებს მუშაობას. შემდეგ ოჯახური პირობების გამო თბილისში გადმოდის საცხოვრებლად. ინიშნება გამომცემლობა „მეცნიერება"-ს დირექტორად. აგერ უკვე 20 წელზე მეტია, იგი პატიოსნად და მოვალეობის მაღალი შეგნებით ემსახურება დაკისრებულ საქმეს, ამიტომაც ყველგან და ყოველთვის დაფასებულია.

ლ. გვაზავა-სანაძე.

## ისინი ჩვენი კორესპონდენტები იყვნენ

ამასწინათ „პიონერის“ რედაქციაში გვესტუმრა ჟურნალის ყოფილი ნორჩი კორესპონდენტი, მწერალი რეზო თაბუკაშვილი. ჩვენ მას რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ.

ქვემოთ ვბეჭდავთ ამ კითხვებსა და რ. თაბუკაშვილის პასუხებს.

**1. გთხოვთ გვიამბოთ, რას განიცდიდით, როცა თქვენი ნაკალმევი პირველად იხილეთ საყმაწვილო ჟურნალის ფურცლებზე. მოახდინა ამ ამბავმა თქვენს შემდგომ მიზნებზე რაიმე გავლენა?**

**2. გვიამბეთ ორიოდე სიტყვით თქვენი თაობის პიონერ-მოსწავლეთა ცხოვრებაზე, სწავლაზე, რა ინტერესები, რა სურვილები, ოცნებები გქონდათ?**

**3. ვინ იყო თქვენი მთავარი ადამიანი, ვინც გარკვეული როლი ითამაშა შემდგომში თქვენი გზის გაკვალვაში? ვგულისხმობთ, კერძოდ, მომავალი პროფესიის არჩევას.**

**4. სიყმაწვილის წლებში რა ზნეობრივი თვისებების აღზრდა მიგაჩნიათ აუცილებლად, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჭეშმარიტი საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებას?**

**5. გვიამბეთ თქვენს შრომით საქმიანობაზე. არის თუ არა ეს საქმიანობა რაიმე კავშირში მოზარდი თაობის აღზრდასთან?**

**6. ამჟამად თუ ხართ დაინტერესებული ჩვენი ჟურნალის ავკარგით? თუ — კი, მაშინ, თქვენი აზრით, ჯეროვნად ესადაგება თუ არა მისი ფორმა და შინაარსი თანამედროვე ქართველი მოზარდის ინტერესებს? რას გვირჩევდით?**



## გვესაუბრება რეზო თაბუკაშვილი

1. პირველი კლასიდან, დროდადრო იბეჭდებოდა ჩემი ლექსები ჟურნალ „ოქტომბრელში“ და გაზეთ „ნორჩ ლენინელში“. როცა „პიონერშიც“ ვნახე ჩემი ნაკალმევი დასტამბული, სიხარული, როგორც მახსოვს, გამიორკეცდა.

პატარაობისას ბეჭდვა მართლაც სახალისოა, მაგრამ მოზრდილობისას ხვდები, რომ ის, რაც საბავშვო ლექსები გეგონა, მხოლოდ ბავშვური ლექსები ყოფილა და შეიძლება მოგერიდოს კიდეც შენი „ნამოღვაწარის“.

საერთოდ ძნელი სათქმელია, რამდენად საჭიროა და გამართლებული ასეთი ნაადრევი „გამოსვლა ლიტერატურულ ასპარეზზე“.

ვფიქრობ, რომ ბავშვობაში სხვათა ნაწერების, ნამდვილი ლიტერატურული ნიმუშების კითხვა უფრო სასარგებლოა, ვიდრე საკუთარის ბეჭდვა.

2. ჩვენი თაობის პიონერ-მოსწავლეთა ბავშვობა, მეორე მსოფლიო ომის დაწყებით რომ დამთავრდა, საკმაოდ რთულ პერიოდს დაემთხვა. მასში ბევრი რამ იყო რომანტიულიც და სევდიანიც.

პირადად ჩემი და ჩემი უახლოესი მეგობრების გატაცება სხვადასხვა ლიტერატურულ წრეებში მონაწილეობა იყო (ჯერ კიდევ პიონერთა სასახლის დაარსებამდე).

„ლიტერატურული მოღვაწეობიდან“ თავისუფალ დროს კი მე და ჩემი მეგობრები — ამჟამად ცნობილი ქართველი ლიტერატორები, თამაზ ჩხენკელი და რევაზ თვარაძე ვანდომებდით მეტად სერიოზულ საქმიანობას: ცხაკაიას ქუჩიდან კომკავშირის ხეივნის მიმართულებით უნდა გაგვეთხარა ვეებერთელა გვირაბი, რომელიც მტრის შემოსევისას თბილისელი ბავშვებისა და ქალების თავშესაფარი იქნებოდა.

ამ თავდაცვით სამუშაოებს საკმაოდ დიდი დრო, ენერგია და სახსრები (იგულისხმება მშობლებისაგან მოცემული საუზმის ფული) მოვანდომეთ.

ღამღამობით კი ბიჭები ძილისპირულ ოცნებებში და მერე სიზმრებშიც ესპანეთში ვიპარებოდით რესპუბლიკელთა ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად.

ყველაზე უფრო აქტიურად აღქმული სიძულვილის გრძნობა ჩვენს თაობას ფაშიზმმა ასწავლა.

3. ასეთი ერთი ადამიანის დასახელება გამიჭირდება, რადგან ცხოვრების ყველა პერიოდს თავისი მთავარი ავტორიტეტი ჰყავდა. მათ როლს უმთავრესად ჩემი საყვარელი მწერლები ასრულებდნენ, სხვადასხვა ეპოქისა და ეროვნების მწერლები.

4. პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი (საქმით და არა სიტყვით) უანგარო სიკეთის ქმედების მუდმივი მოთხოვნილება. გარდა ამისა, ალბათ სიყმაწვილეშივე უნდა დაიჯეროს ადამიანმა, რომ მართლაც შრომაა ყველაზე დიდი ნიჭიერება, რომ არც ერთ დარგში არ არსებობს ნიჭი, რომელიც მცირე შრომით დიდ შედეგს მიაღწევინებდეს ადამიანს.

5. ამჟამად ვმუშაობ მწერალთა შემოქმედებითი კინოგაერთიანების ხელმძღვანელად. ჩვენს გაერთიანებაში გარდა პროფესიონალი მწერლებისა, არიან ახალბედა, ნიჭიერი ლიტერატორებიც და სწორედ მათი დაოსტატება მიგვაჩნია ჩვენს ძირითად საზრუნავად.

გარდა ამისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტზე ვეწევი პედაგოგიურ მუშაობას, რის წყალობითაც მუდმივი კონტაქტი მაქვს ახალგაზრდებთან, გუშინდელ პიონერ-მოსწავლეებთან.

6. ვფიქრობ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ დღევანდელი თაობის პიონერ-მოსწავლეები ბევრად უფრო ვრცელ საერთო ინფორმაციას ღებულობენ, ვიდრე ჩვენი თაობის ბავშვები, ამიტომ ჟურნალი „პიონერი“ სრული სერიოზულობით უნდა ესაუბრებოდეს თავის მკითხველებს და ინფანტილიზმის არანაირი გამოვლინება არ უნდა დაუშვას თავის ფურცლებზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მამია
ასათიანი

# მეეტლე და შვილიშვილი

მხატვარი
შალვა
ცხადაძე.

მოთხრობა

დათა მიქელთაძე დაკვირვებით ადევნებდა შვილიშვილის ცხოვრებას თვალყურს. როცა ზაზას ახალი ტანსაცმელი შეამჩნია, მოხუცი გამოცოცხლდა. იგი დინჯად წამოდგა ტახტიდან და შავი მაუდის პალტოზე დაკერებულ ბრჭყვიალა ფოლაქებს თითები გადაუსვა; როგორც ეტყობოდა, მოეწონა ისინი. შეიძლება თავისი ახალგაზრდობა გაახსენდა დათას. მაშინ თექვსმეტი წლის ბიჭმა ჩაიცვა ვერცხლისფერფოლაქებიანი მეეტლის ხალათი. მოხუცმა კარგად იცოდა, რომ ახლა მეეტლეები აღარ იზრდებოდნენ და შვილიშვილის ტანსაცმელი სხვანაირად ენიშნა.

— რკინიგზაზე ხომ არ მიგიღეს, ბიჭო?!

— არა, ბაბუ, საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში შევედი. ტანისამოსიც იქ დაგვირიგეს.

— ოჰო, — გაიკვირვა მოხუცმა, — უფასოდ მოგცეს?!

— კი, უფასოდ მომცეს. ოღონდ კარგად უნდა ვისწავლო.

— სწავლით უნდა ისწავლო, — დაუდასტურა დათამ შვილიშვილს, — შრომა დაგჭირდება. უშრომლად ამ ქვეყანაზე კარგი არაფერი გაკეთებულა.

მოხუცი ნელა დაბრუნდა უკან, თავის ტახტზე ჩამოჯდა, ჯოხი სასთუმლის კუთხეში მიაყუდა და წყნარად განაგრძო:

— ცხოვრება, შრომის და სწავლის გარეშე, ბაბუა, წაბლის ბუძგივით იჩხვლიტება. შრომა და განათლება ცხოვრების სიკეთეს გიჩვენებს, მის სიმდიდრეს გადმოგიშლის. ტკბილი და სურნელოვანი ნაყოფი, ბუძგს რომ გადახევ, მერე მოჩანს შიგნიდან. თუ კი მას ალალი შრომით და ცოდნით მოიპოვებ, უხვად შეგერგება, ჩემო ბიჭიკო.

დათამ თავი მიაბრუნა და კედელზე უფროსი შვილის სურათს შეავლო თვალი.

ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი ვაჟკაცი პირდაპირ უმზერდა მამას. დიდხანს უმზირა მოხუცმა ომში დაღუპული შვილის სურათს, დიდხანს. მერე თავი ისევ ზაზასკენ მიაბრუნა, თვალზე მომდგარი ცრემლი არ შეიმჩნია და შვილიშვილს უთხრა:

— ცოცხალი ჩამოსულიყო მამაშენი, კარგი იყო. ახლა რას იზამ, ბაბუ! მარტო ჩემი ოჯახის საძირკველს როდი მიუკაკუნა იმ დასაქცევმა ომმა მტრულად. ბევრს კიდევ სულ მთელი ფუძე მოუშალა, იმ მეორე ბიჭს მაინც არაფერი დაემართებოდეს ცუდი და შენ კარგად მეკოლებოდე!

დათას უმცროსი ვაჟი — ლევანი ავტოქარხნის საამწყობო საამქროს უფრო-

სი იყო. ზაზა თავისი ბიძით ამაყობდა. ხუმრობა ხომ არ იყო, მისი მამის ღვიძლი ძმა ლევან მიქელთაძე, პირველი დახედავდა ავტომობილის სხვადასხვა ნაწილებს.ააწყობდა მას და სულს ჩაუდგამდა. ზაზას ფიქრით, მარტო ის რად ღირდა, ახლად აწყობილ მანქანას ბიძია ლევანი პირველი რომ შეავლებდა ხელს, პირველი რომ გასინჯავდა ძრავის სიმძლავრეს, მუხრუჭების სილაღეს, მანქანის სისწრაფეს და გამძლეობას. ამიტომ იყო, რომ ზაზამ დედის შემდეგ ბიძას გაუმხილა თავისი გულისნადები.

— კარგი გიფიქრია, ზაზა, ამთავითვე სწავლასთან ერთად წარმოებასაც შეეჩვევი. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, — უთხრა ბიძამ.

ბაბუა დათა კი სხვანაირად უყურებდა ამ საქმეს. ავტომანქანა ჭირივით სძულდა მოხუცს. ამისი საბუთიც ჰქონდა. მეეტლეების ძველ უსტაბაშს ავტომანქანას რა შეაყვარებდა? ავტომანქანების გამრავლებამ ეტლების მაზანდა დასცა. მისი ცხოვრების გრძელ მანძილზე შეხვედრილი ამბებიც ამას ადასტურებდა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო დათა მიქელთაძე, როცა ქალაქში ხმა გავარდა, მდიდარმა ონანოვებმა ავტომობილი ჩამოიყვანესო. მეეტლეები აჩოჩქოლდნენ. ეტლების ბირჟა მაშინ სწორედ ბაღის კიდეზე იყო. ქარიშხალივით გაირბინა კოფოზე გადამჯდარი მეეტლეების მწკრივებში ამ უცნაურმა, ახალმა ამბავმა.

ახალგაზრდა მეეტლე სამსონ ჭანტურია გულისწუხილით ჰყვებოდა თავისი თვალით ნახულ ამბავს.

— არც ცხენი უბია და არც აქლემი. მატარებელივით არც რკინიგზა სჭირდება. ისე გარბის შოსეზე, თითქოს ალქაჯები ებას შიგ.

ბორბლები აქვსო? — იკითხა ვიღაცამ.

— ბორბლები კი აქვს, მაგრამ ისე მისრიალებს, ბრუნავს თუ არა, ვერც კი გაიგებ. — თავი გააქნია ერთმა ჭარმაგმა კაცმა. — ალბათ, სხვანაირად აქვს მოწყობილი.

— ამბობენ, ძმები ჯაფარიძეები წასულან ახლა მანქანების ჩამოსაყვანად. ეტლების მაგივრად ისინი უნდა ამუშაონ ქალაქშიო.

ამ უკანასკნელმა სულმთლად თავზარი დასცა მეეტლეებს. ცოტა ხნით ყველას ენა ჩაუვარდა. გამოლენჩებულნი იდგნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ. მათ დასაიმედებლად ვიღაცამ წყნარად თქვა:

— რამ შეგაშინათ, ჩამოიყვანონ, იმაში ჩაჯდომა მამასისხლად ეღირება!

ამ ნათქვამმა მართლაც ცოტა იმედი მისცათ.

მეორე დღეს დათა მიქელთაძე ბაღდათისკენ წაიყვანეს მუშტრებმა. შემოდგომის წვრილი, გამჟონავი წვიმა სცრიდა, საღორიის ტყეში გაჭრილი გზა სქელი ღრუბლებისა და შოსეზე გადმოწოლილი მუხების ჩრდილქვეშ უფრო ჩაბნელებული მოჩანდა.

მოულოდნელად წამოეწია ონანოვების მანქანა. დათამ მტრულად გადახედა მოქიშპეს და შუბლის ზემოთ სისხლის მოწოლა იგრძნო. ავტომობილი უკნიდან გამოხტა და ისე ჩაიქროლა, თითქოს შოსეზე მიქელთაძის ეტლი კი არა ასანთის ცარიელი კოლოფი ეგდო ტალახში. ყურადღებაც არ მიაქციეს დათას და მის ეტლს.

ცხენებმა ყურები სცქვიტეს და განზე გაიწიეს.

ამ სამგლეებს ჩვენზე მეტი შიში ჰქონიათო, გაიფიქრა ახალგაზრდა დათამ. ცხენებს მათრახი სწყვიტა და აღვირებიც ისე ამოჰკრა ლაშებში, რომ კანკალი დააწყებინათ. უცებ ბოღმა და ბრაზი ჩაუდგა ტანში. წინ მიმქროლავ მანქანას გახედა, აღვირები ხელში აიკრიფა, დაიმოკლა და ცხენებს დასჭყივლა. ცხენებმა იგრძნეს, დათა აღარ ხუმრობდა. მწევრებივით გაიწიეს და ისეთი სისწრაფით გაქანდნენ, მუშტრებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს.

შუა გზაზე წამოეწია დათა ონანოვებს. იგი ერთ ხანს გვერდიგვერდ მიყვებოდა მანქანას. ცხენებიც და მეეტლეც მხეცებივით უბრიალებდნენ მანქანას თვალებს. მანქანა ნელი თუხთუხით მისრიალებდა შოსეზე. ერთი კიდევ დასჭყივლა და ონანოვები უკან მოიტოვა.

ვარციხის ბორანთან შეაჩერა გასავათებული ცხენები. სანამ მებორნემ გაღმიდან ნავი შოაცურა, დათამ აკანკალებულ ცხენებს ყურები დაუქაჩა, მშრალი ჩვრით გავა და ბარძაყები გაუმშრალა.

ჯერ კიდევ კოფოზე არ შემჯდარიყო, რომ მანქანა ქარივით მოსისინობდა. არც დაღლა ეტყობოდა და არც ოფლი. დათამ ალმაცერად გადახედა და მიხვდა, რომ მისი ცხენები ამ „ოხრის გაკეთებულთან“ ვერაფერს გააწყობდნენ.

მანქანაში მსხდომნი ძირს ჩამოვიდნენ. გრძელ-გრძელ პაპიროსებს ეწეოდნენ ისინი. დათა ზიზღით უყურებდა მათ. მეტი ვერაფერი მოახერხა ბოღმის გადმოსანთხევად და თავის მუშტრებს ხმამაღლა უთხრა:

— რამხელა პაპიროსები გაურჭვიათ პირში ამ ოჯახქორებს, ძაღლებს მოიგერიებს კაცი.

მუშტრებმა ღიმილით და გაოცებით შეხედეს ახალგაზრდა მეეტლეს.

მოულოდნელად ავტომანქანის მძღოლმა სანაოზე შესვლის დროს საყვირი დააბღავლა.. უჩვევი ცხენები დაფეთდნენ. ერთმა მათგანმა ნახტომი გააკეთა და სანაოს მიაშურა. ტყავის შებმულობამ არ გაუშვა, უკან დაქაჩა და ცხენი უხერხულად ჩავარდა ბოგირსა და ნავებშუა. კაცივით დაიგმინა, ცხვირიდან ღრუბელივით სქელი ორთქლი ამოუშვა და პატრონს სველი თვალებით შეხედა. ახალგაზრდა მეეტლე ერთი ნახტომით მივარდა მარჩენალს. გვიანი გამოდგა მისი სისწრაფე. ცხენს ფეხი მოსტეხოდა. ონანოვები წყნარად იდგნენ. ერთ მათგანს გაეცინა კიდეც.

დათას ცეცხლი ეკიდებოდა. თვალსა და ხელს შუა ნახევარი მისი ქონება დაიღუპა. ლუკმა ხელიდან გამოეცალა.

ორი წლის წინ მამამ მისი წილი მამული გაუყიდა, ეტლი და წყვილი ცხენი შეუძინა და შვილი დასახლებულად ჩათვალა... ჯერ თავნი არ ამოეღო, ეს უბედურება რომ შეემთხვა ახალგაზრდა მეეტლეს. მას ეგონა, რომ ამ ცხენის ფეხის მოტეხით მისი ორი თვის ბიჭს ყელში დასახრჩობად წაუჭირეს ხელი.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დრომ ბევრჯერ აამწვანა და შეათეთრა კავკასიონის კალთები. დათას გუნება კი არ გამოიცვალა. ცხოვრებას დაკვირვებულ კაცს არც ის გამოეპარა, რომ მანქანების გამრავლებამ ეტლებისაგან დააცარიელა ქალაქის ქუჩები. ახლა მისი

ხელობის ხალხი ზოგი ცხენურემზე გადაჯდა სამარცხვინოდ, და ზოგმა სულ სხვა საქმე აირჩია ხელობად. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მოხუცმა შვილის ავტოინჟინრობა გაიგო, სამი თვე უბრად იარა, სახლში არავის ხმა არ გასცა. ძლივძლივობით შეირიგა დათა მიქელთაძე შვილძა. ახლა ზაზას ავტოსკოლაში შესვლის საქმეს საიდუმლოდ ინახავდნენ.

•

შავთვალწარბა და გრუზათმიანი ზაზა მთელი სკოლის საყვარელი მოსწავლე იყო. მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. მისი წიგნები და რვეულები სისუფთავით განსხვავდებოდნენ, მისი მომზადებული გაკვეთილი ყველას სიხარულს ჰგვრიდა. მასაც ყველა უყვარდა, ამხანაგებიც და მასწავლებლებიც. ყველაზე დიდი პატივისცემით ის მაინც ქარხნის მთავარ კონსტრუქტორს ვასილ ბოიკოს უყურებდა. ხუმრობა ხომ არ იყო, მსოფლიოში განთქმული კაცი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ახლა ქუთაისის ახალგაზრდობის უსაყვარლესი ადამიანი გამხდარიყო.



საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მოსწავლეებმა არაერთხელ მოისმინეს კონსტრუქტორის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი კაციაო,—ამბობდნენ მუშები,—სულ ცინცხალი, უფიქრებელი აზრები აქვსო თავში. სკოლის ბევრ მოსწავლეს ჯერ კიდევ არ ენახა იგი. უზარმაზარი საამქროების თავზე, მეორე სართულზე, სამმართველოს ერთ კუთხეში იყო მოთავსებული საკონსტრუქტორო ბიურო. ახალგაზრდა ინჟინრები სახაზავებით ხელში დაფებივით ალმაცერად მდგარ მაგიდებზე აზუსტებდნენ დეტალებს. პირველად ზაზას ვასილ ბოიკო მოხუცი კაცი ეგონა. იგი ახლა გაოცებული უყურებდა ახალგაზრდა, წაბლისფერთმიან კაცს, რომელიც სინამდვილეში არც ისე ახალგაზრდა იყო, როგორც ეს მეეტლის შვილიშვილს ეჩვენა. იმ წუთს ღებული კარიდან მისი კაბინეტი მოჩანდა. იგი ინჟინრებს რაღაცაზე ესაუბრებოდა. მისი მომაღლო შუბლი და ჩაფიქრებული თვალები უნებლიეთ პატივისცემას აგრძნობინებდა ადამიანს.

„რა უბრალო კაცი ჩანს და ქვეყანა კი გააკვირვა“, — ფიქრობდა ზაზა. — იცით რა, — მიუბრუნდა იგი ამხანაგებს, — შევიდეთ და შევეხვეწოთ, საუბარი ჩაგვიტაროს მის მიერ შექმნილი მანქანების შესახებ.

— კი, როგორ არა, ამ წუთში გამოიქცევა და ორსაათიან მოხსენებას ჩაგიბულბულებს!

— ვითომ რატომ იტყვის უარს?!

— სად სცალია, ბიჭო, ჩვენთვის, ხომ არ გაგიჟდი?!

— მოიცლის, არ შეიძლება ავტომობილის კონსტრუქტორს ახალგაზრდობა არ უყვარდეს.

ზაზას აზრი გამართლდა. ვასილ ბოიკომ არათუ უარი განაცხადა მოხსენებაზე, პირიქით, დიდად ესიამოვნა მოწვევა.

გახსოვდეთო, — უთხრა მან საუბრის დასასრულს ახალგაზრდებს, — თქვენც უნდა იფიქროთ მანქანის ნაწილების გაუმჯობესებაზე: ახალგაზრდებს ბევრი ახალი რამ შეგიძლიათ შექმნათო.

•

ბაბუა დათამ სწორედ იმ დღეს გაიგო შვილიშვილის ხელობა, როცა ზაზამ სკოლა დაამთავრა და ქარხანაში დაიწყო მუშაობა. თექვსმეტი წლის ზაზა

13045

ქ. მარქსის სახ.

მიქელთაძე საამქროს მეოთხე თანრიგის ხარატი გახდა.

კვირა დღე იყო. ბაბუა დათა აივანზე ფართო ტახტზე იჯდა. შვილიშვილს პირქუშად შეხვდა მოხუცი.

— რა გიქნია, ბიჭო, ეს? შენც ბიძაშენის კვალზე გინდა იკვინტრიშო?!

ზაზამ პირველად ვერ გაიგო ბაბუას ჩივილი. შემდეგ კი, როცა ბაბუამ წაილაპარაკა: ჩემს სახლში ყველა ჩემი აზრის მტერი უნდა გახდეთო, მაშინ კი მიხვდა ყველაფერს.

— რატომ ფიქრობ, ბაბუა, ასე?!

— სხვანაირად როგორ უნდა ვიფიქრო, შენც მანქანაზე დაგიწყია პორტყიალი.

ზაზამ ალერსიანი თვალებით შეხედა ბაბუას. ამან კიდევ უფრო გააბრაზა მოხუცი.

— არ მომეკარო! მე მეგონა, შენ სხვა სასარგებლო საქმეს მოკიდებდი ხელს, შენ კი ლევანის სულელურ აზრს აყევი, არა?

მოხუცმა აივნიდან ეზოში გადააფურთხა და თავის ოთახში გულმოსული შევიდა.

— იცოდე, კარგი არ დაგემართება, ის ეშმაკის მოგონილი მანქანა ჩემს ოჯახს ხეირს არ დააყრის, — ეს სიტყვები უკვე ოთახში რომ შევიდა, მაშინ თქვა ბაბუა დათამ.

ვასილ ბოიკოს ცდამ თავისი შედეგი გამოიღო. ახალკურსდამთავრებულ საფაბრიკო-საქარხნო სკოლის ახალგაზრდობას ათასგვარი ახალი წინადადება შემოჰქონდა.

ზაზა მიქელთაძე თავის წინადადებას თვითონვე დახაზავდა, თვითონვე გამოახარატებდა და მანქანის ნაწილის ახალ ვარიანტს მზამზარეულს მიუტანდა ვასილს. გამოცდილმა ინჟინერმა იცოდა, რომ ეს წინადადებები ჯერჯერობით დიდად სახარბიელო არ იყო, მაგრამ ერთი ცხადი იყო: ამ ჭაბუკში ის ნაპერწკალი ღვიოდა, რომელიც ხვალ-ზეგ სასარგებლო, დიდ ცეცხლად იქცეოდა.

ერთ დღეს ზაზამ ბიძია ლევანისა და ვასილ ბოიკოს ლაპარაკს მოჰკრა ყური. ლევანი ამბობდა:

— სიჩქარის კოლოფის საამქროში კბილანსატეხი ჩარხები კარგად ვერ მუშაობენ; ორი ჩარხი ერთ საქმეს ასრულებს და მაინც ვერ ასწრებენ დავალების შესრულებას.

ვასილ ბოიკომ დინჯად მოუსმინა საამქროს უფროსს, ჩაფიქრდა, პასუხი კი არ მისცა. ეს საუბარი ჩარჩა ზაზას მეხსიერებაში. ამის შემდეგ ჭაბუკი მთელი ერთი კვირა არ მოშორებია კბილანსატეხ ჩარხებს.

— რას ჩააცივდი, ბიჭო, ამ ჩარხებს, არაფერი გაუტეხო, — უთხრა ერთხელ ოსტატმა.

— არა, ოსტატო, საქმე მაქვს, ცოტა მაცალე, — მიუგო ზაზამ.

სამუშაო დღე მთავრდებოდა, ვასილ ბოიკოს კაბინეტში ზაზა რომ შემოვიდა.

კონსტრუქტორმა ნელა აიღო თავი. ჭაბუკი აღელვებული ჩანდა.

— რამ შეგაწუხა, ზაზა?! — გაკვირვებით შეეკითხა ბოიკო.

— პატივცემულო ვასილ თევდორეს ძევ, მე კბილანსატეხი ჩარხების თაობაზე მოვედი. აი, ნახეთ.

ზაზამ სუფთა ტილოში გამოხვეული ნივთი გაუწოდა ბოიკოს. ვასილმა გამოხსნა იგი. მოდელი აღმოჩნდა. მან იგი იქვე მაგიდაზე დადგა და თვალიერება დაუწყო. დიდხანს ატრიალა, ცნობისმოყვარეობა თანდათან გაუცხოველდა, ნაწილებს დაუკვირდა, შუბლი თანდათან გაეხსნა.

— ესე იგი შენ ორი ჩარხი გინდა ერთით შეცვალო და პროდუქციაც მეტი მისცე, არა?! ხომ ასეა?!



ზაზა გაჩუმებული იდგა.

— რას გაჩუმებულხარ?!

ზაზამ ვერაფერი თქვა. კონსტრუქტორი ახლა პირდაპირ მისკენ შემობრუნდა. თვალებში ჩახედა და ღიმილით თქვა:

— ვერ არის კარგი, შენს ნაწარმოებს რომ ვერ იცავ. ნახაზები თან გაქვს? აქ მომეცი! — კონსტრუქტორმა მილად დახვეული ქაღალდი გამოართვა, მერე ხელები გაშალა, ზაზას ბეჭებზე ხელი მოხვია და განაგრძო:

— კარგი ბიჭი ხარ. ნამდვილად კარგი კაცი დადგები. მოდელი დამიტოვე, კიდევ გავსინჯავ. ხვალ გამოიარე. რო-

როგორც ჩანს, სერიოზული საქმე გაგიკეთებია.

ზაზა ოთახიდან ნელა გამოვიდა, მაგრამ კარი მოიხურა თუ არა, თავის კანში ვეღარ ჩაეტია. მხრებზე თითქოს ფრთები გამოესხა. სირბილი მოუნდა. ეზოში ჩამოირბინა, ცასა და მიწას გახედა, ბრწყინვალე დარი იდგა. ახალდარგული ყლორტი და ლატანი ხეები ისე ირხეოდნენ, თითქოს მზის სხივებში ბანაობენო. გელათისა და გოდოგანის ზურმუხტისფერი მაღლობები ამ ნათელ ელვარებაში ჩაძირულიყვნენ. ქალაქის ამ მხრიდან მწვანე ქედების ყველაზე მაღალი გორაკი — „ბროლიქედი" — საახალწლო ნაძვის ხესავით მოჩანდა. ზაზამ იცოდა, რომ მისი კალთების ქვემოთ, წყალწითელას მორევებში ახლა ტოლი ბიჭები ბანაობდნენ. იქ წასვლა მოუნდა ზაზას.

ერთი გავგრილდები, ბიჭებსაც ვნახავო, გაიფიქრა მან. იგი ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა ქარხნის ჭიშკრისკენ. მზე კორპუსების თეთრად აზიდულ ფიქალ კედლებს ხვდებოდა, მოასფალტებულ საცალფეხო გზას აცხუნებდა და სულისშემხუთველ ბუღს აყენებდა. მტვერმოყრილი ასფალტი დუღდა, ფეხის ნაკვალევი აჩნდებოდა.

„ბაბუას ეზოში უფრო მეტი სიგრილე იქნება, ალბათ, — იფიქრა ახლა ჭაბუკმა, — აბაზანაში ვიბანავებ, მერე ნიგვზის ჩრდილში წამოვწვები. ცოტას წავიძინებ კიდეც". უკანასკნელ დღეებში ფიქრმა და მუშაობამ მოღალა ზაზა. „არა, ბაბუასთან წავალ", — მტკიცედ გადაწყვიტა მან და ტროლეიბუსის კარებში შეაბიჯა.

●

ბაბუა დათა აივანზე იჯდა.

— ხვალ ხომ დასვენება გაქვს, ბიჭო, — იკითხა მოხუცმა. ჭაბუკი მიხვდა, დათა ბაბუა რაღაცას ავალებდა მას.

— კი, ბაბუა. საქმე გაქვს თუ?!

— სოფელში მინდა წახვიდე, კარგი სოფელია, ჩვენი გვარის საბუდარია.

— საბუდარი კი არა, ნაბუდარია!

— ვინღა დარჩება, ყველას ინჟინრობა და ექიმობა გინდათ! მაინც ბევრნი არიან. მარტო ჩემი ძმის ალმასხანის მოდგმა ცამეტი სულია. ეჰ, ისიც მოხუცდა. ჩემზე რვა წლით უმცროსია და მაინც მოხუცდა.

— კარგი, ბაბუ, წავალ, რას დამაბარებ?

— ალმასხანი ჩამომიყვანე, მომენატრა.

— ბაბუა ალმასხანი?

— ჰო, რას გაგიკვირდა. ძმა მომენატრა, სხვა ხომ არა!

— კარგი, წავალ, ბაბუ, წავალ.

●

კავკასიონის მთების სამხრეთ ფერდობზე პატარა სოფელი მდინარე სულორის პირზე გაუშენებიათ. წინათ მწირი მიწები უსარგებლოდ იყო მიტოვებული. მხოლოდ იელის და გვიმრის გაუვალი ბუჩქნარები ხარობდნენ აქ. ახლა ჩაის მწვანე ბუჩქები მწკრივად იმზირებოდნენ მისი ფერდობებიდან. ამ სოფლელებს ყავრის ხდით ხელისგულები ჰქონდათ დახეთქილი. აღებული ფულით საპონსა და ნავთს ძლივს იმარაგებდნენ. ახლა ჩაის ბუჩქების ყლორტებმა ახალ-ახალი ოდა-სახლები გაამრავლა სოფელში.

ალმასხანის სახლი მაღალ ფერდობზე იყო წამომდგარი. სოფლის საბჭოდან მის სახლამდე სამი კილომეტრი იყო. „ავტოტრანსის" სამგზავრო მანქანა საბჭოსთან ჩერდებოდა. აქედან ვიწრო გზა იწყებოდა. ზაზა ფეხით წავიდა იქითკენ.

ალმასხანის კაცმრავალი ოჯახი სიყვარულით მიეგება ზაზას.

ვახშამმა დიდხანს გასტანა. დათა მოიკითხეს, ლევანის ამბები გაიგეს და სტუმარი გვიან დააწვინეს.

ღამით მოხდა ის, რასაც არავინ არ ელოდა. ნაშუაღამევს ზაზა მოულოდნელმა მუცლის ტკივილმა გამოაღვიძა.

ნაწლავებში თითქოს ხანჯალი გაეყაროს ვინმესო, ისე გაუარა რაღაცამ. გულღვიძლში ანთება შემოეკიდა. საშინელმა კრუნჩხვამ აიტანა.

მასპინძლები შეშინდნენ.

ალმასხანის უმცროსმა ბიჭმა ექიმი სწრაფად ამოიყვანა. მთელი ოჯახი სულგანაბული უსმენდა ახალგაზრდა ექიმს. მან დაკვირვებით გასინჯა ზაზა და დაფიქრებით თქვა:

— ორში ერთია, ან ნაწლავების გადასკვნაა, ან კუჭის გახვრეტას აქვს ადგილი.

ალმასხან მიქელთაძე არ დაიბნა. მოხუცი საბჭოში ძუნძულით ჩავიდა და ტელეფონით ლევანი გამოიძახა. ლევანი სახლში იყო. ტელეფონის უდროო დროს დარეკვამ დათაც გამოაღვიძა. როცა ზაზას სახელი გაიგონა, მოხუცი გაფითრებული წამოდგა ლოგინიდან.

რა ამბავია ჩვენს თავსო,—იკითხა დათამ. ლევანი დაიბნა, არ იცოდა, რა ეთქვა მამისათვის. მოხუცი მიხვდა, რომ შვილიშვილს უბედურება შეემთხვა.

— რას იღეჭები, თქვი, ხომ მაინც გავიგებ!

დათას იმ წუთს მხოლოდ ერთი ფიქრი ჰქონდა — ალბათ მანქანა გადაბრუნდა იმ ღრანტეებზე და ბიჭიც დაეღუპაო.

ფერდაკარგულმა ლევანმა მამას ვერ დაუმალა სინამდვილე.

— მე ახლავე მანქანით უნდა წავიდე. წელების გადასკვნა აქვს მგონი, ყველაფერი ავტომანქანის სისწრაფეზეა დამოკიდებული.

დათა მიქელთაძეს თითქოს ქვა დაჰკრეს თავში.

— ვაი ჩემს უბედურ თავს, რაღა მეშველება, ისევ მანქანაზეა ჩემი ოჯახის ბედი დამოკიდებული, — ისე დაიბღავლა მოხუცმა, რომ მთელი სახლი შესძრა.

●

მთელი ღამე ძილი არ მიჰკარებია დათას. იჯდა მოხუცი თავის აივანზე და სივრცეს უაზროდ გაჰყურებდა. ლევანი არსად ჩანდა.

— ვაითუ მანქანა გზაზე გაუჩერდა და დროზე ვერ მიასწრეს.

თენდებოდა, ლევანმა მანქანა რო შემოაგრიალა ეზოში. იგი დაღლილი სახით გადმოვიდა მანქანიდან და მამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხედა. დათა ერთი ღამის მანძილზე ერთბაშად დაძაბუნებულიყო. გაფითრებულს ხელები უკანკალებდა.

— ბიჭი ცოცხალია თუ არა? — გამწარებით შესძახა მოხუცმა შვილს.

— გადარჩა. პირდაპირ საავადმყოფოში მივიყვანე. ოპერაციამ კარგად ჩაიარა. მანქანა რომ არ გვყოლოდა, დავიღუპებოდით.

მოხუცს გულზე მოეშვა.

იგი ნელა ჩამოჯდა ტახტზე. წვერზე აკანკალებული ხელი ჩამოისვა და წყნარად გახედა ლევანის ავტომანქანას. მისი სიცოცხლის მანძილზე პირველად შეხედა დათა მიქელთაძემ მანქანას კეთილი თვალით.

ორი კვირაა, რაც ზაზა საავადმყოფოდან გამოიყვანეს. ბიჭი დღითი დღე ღონეს იკრებდა. დათა მიქელთაძე ახლა უკვირდებოდა შვილიშვილს. მამის ბეჭები უჩანდა, მამისავე სახის ნაკვთები. დათას ხანდახან ეჩვენებოდა, რომ შვილიშვილს კი არა, შვილს უყურებდა თვალებში. ძველ თავლაში ლევანის მსუბუქი მანქანა იდგა. მოხუცი ღამით, სხვების ნამალავად გააღებდა ძველი თავლის კარებს. ახლა ცხენები აღარ ჭიხვინებდნენ იქ. არც მათი ლაგამის ხრამუნი ისმოდა. იდგა მანქანა წყნარად. ბროლის ფარები უელავდა. ძველი მეეტლე სიყვარულით დაჰყურებდა შვილიშვილის გადამრჩენელს. ახლა იცოდა დათა მიქელთაძემ, ონანოვების მანქანა ონანოვებს ემსახურებოდა, ეს მანქანა კი მიქელთაძეების ოჯახს. მრავალ ჭირში გავლილი კაცი ცას და მიწას ახლა უბოროტო თვალით უყურებდა. იმან იცოდა, რომ მისი შვილი და შვილიშვილი მანქანებს აკეთებდნენ მამულისთვის, ადამიანებისათვის. გუშინ მის სახლს ვასილ ბოიკო ეწვია. მოხუცი ყურადღებით ათვალიერებდა საბჭოთა მანქანების დიდ კონსტრუქტორს.

ბოიკომ პატივისცემით ჩამოართვა დათას ხელი და მიულოცა — შენი შვილიშვილის წინადადებამ გაიმარჯვა, ათეული ათასი მანეთის მოგებას მისცემს ქარხანასო. ზაზა ნიჭიერი ბიჭია, ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია. ქარხანაში გადაწყვიტეს, უმაღლეს სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯზე გაგზავნონ, მალე საქვეყნო კაცი გახდებაო.

იდგა დათა ახლა შვილის მსუბუქი მანქანის წინ და დაკვირვებით უყურებდა მას. მზე მის ეზო-გარემოს ანათებდა; მოხუცი ნათლად უყურებდა ამ ბედნიერ ქვეყანას.



დაიბეჭდა „პიონერში“ 1954 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ არის ნამდვილი მეგობარი

თევზაობიდან დაბრუნებულმა მოხუცმა მეთევზემ აღმართი ძლივს ამოათავა, ოფლი მოიწმინდა და იქვე ჩამოჯდა. ჩანთა გახსნა, ნადავლი შეათვალიერა; თითქოს ესიყვარულება ლაყუჩებდაბერილ ორაგულებს, ხან ერთს შეავლებდა ხელს, ხან მეორეს. შემდეგ ისევ მოუკრა თავი ჩანთას და, ის იყო, გზას უნდა გასდგომოდა, რომ თავს ერთი ახალგაზრდა მეზობელი წამოადგა. ერთი თევზი მომეცი, მთელი დღე მშიერი ვარ, ცოტას დავნაყრდებიო, სთხოვა მან. მოხუცმა შუბლი შეიკრა და უარით გაისტუმრა ზარმაცი ახალგაზრდა, მერე მოტრიალდა და გასძახა: დილით ადრე დამხვდი აქ, წაგიყვან, თევზაობას გასწავლი და სათხოვნელიც არაფერი გექნებაო. ნაწყენმა ახალგაზრდამ ყური არ ათხოვა და ჩქარა გასცილდა.

მეზობლებმა უსაყვედურეს მოხუცს: ამდენი თევზი დაგიჭერია, შენ რა დაგაკლდებოდა, ერთი თევზი მისთვისაც გაგემეტებინაო.

— მას მე არ მივეცი ის, რაც მხოლოდ ამ საღამოს დაანაყრებდა, მაგრამ შევთავაზე ის, რაც ყოველდღიურ სარჩოს გაუჩენდა და მათხოვრობას გადააჩვევდა, — მიუგო ჭკვიანმა მოხუცმა.

ეს ამბავი ხორჩ კორესპონდენტთა ჟურნალ „აისში“ მოთავსებულმა ორმა წერილმა გამახსენა, რომლებშიც იმაზეა ლაპარაკი, მოსწავლემ უნდა გადააწერინოს თუ არა მეგობარს საშინაო დავალება. ძვირფასო ბავშვებო! თუ გადააწერინებთ — თქვენს ამხანაგს მხოლოდ იმ დღეს იხსნით „ორიანისაგან“, თუ არ გადააწერინებთ და ასწავლით, როგორ ამოხსნას მაგალითი ან ამოცანა, ამით უცოდინარობას ააცდენთ. გარდა ამისა, ყოველთვის როდი შერჩება მოსწავლეს თვალთმაქცობა, ყოველთვის როდი გამოეპარება პედაგოგს სხვისი ნაშრომის მითვისება. ესეც რომ არა, მასწავლებლის მოტყუება და სხვისი ნაშრომის მისაკუთრება რა საკადრისია. ვადაწერა რომ სასარ-

გებლო არ არის, ეს ყველა თქვენგანმა იცის, როგორც ეს ჟურნალ „პიონერის“ მრავალრიცხოვან ნორჩ კორესპონდენტთა წერილებიდან ჩანს, მაგრამ ვფიქრობთ, გიძნელდებათ გაარკვიოთ, ვინ არის დამნაშავე — გადამწერი, თუ ის, ვინც გადააწერინა. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლის მაია აბჟანდაძის წერილი. მაია გულისტკივილით წერს: „იძულებული ვარ ზოგიერთ ამხანაგს გადავაწერინო, თორემ მეგობრები ისევე დამემდურებიან, როგორც თბილისელი გ. თ. დაემდურა მის მეგობარ ნანას. თქვენ წარმოიდგინეთ, მაიას ვერ გავამტყუნებ, რადგან ადამიანები მეგობრისაგან, ახლობლისაგან ითხოვენ იმას, რაც აკლიათ, არა აქვთ, სჭირდებათ (როგორც ამას გონივრულად შენიშნავს ნორჩი კორესპონდენტი თინა ბერიანიძე). მაშინ ისინი სულაც არ ფიქრობენ იმაზე, სასარგებლოა ამგვარი დახმარება თუ არა, და თუ არ დააკმაყოფილებ, დაუჭერ, ბუნებრივია, საწყენად რჩებათ. იკითხავთ, მაშ როგორ მოქცეულა მოხუცი მეთევზე? მოხუცი მეთევზის პოზიცია სწორი პოზიციაა და ამიტომაც მოვიტანე აქ, მაგრამ მე ახლა საკითხი სხვაგვარად მინდა დავსვა: რატომ უნდა მათხოვრობდეს ჯანლონით სავსე ახალგაზრდა, რატომ უნდა აძლევდეს მოსწავლე თავის თავს უფლებას, ამხანაგს მისი ნაშრომის მისაკუთრება მოსთხოვოს?! ეს ხომ თავისებური ყაჩაღობაა? ნებაყოფლობითი მტაცებლობაა? სწორედ ამიტომ კიცხავენ ლიას, ქეთინოსა და თბილისელ გ. თ.-ს ნორჩი კორესპონდენტები თინა ბერიანიძე (ქ. გორის მე-10 საშ. სკოლის VII კლ. მოსწავლე), თამრიკო ლომიძე (ყვარლის რაიონის ჭიკაანის საშ. სკოლის VI კლ. მოსწავლე), ფატმან საზანდრიშვილი (ქარელის მე-2 საშ. სკოლის X კლ. მოსწავლე). რუსუდან მურღულია (გალის რაიონის საბერიოს I-ლი საშ. სკოლის VII კლ. მოსწავლე), მანანა გაჯიშვილი (აზერბაიჯანის სსრ, კახის რაიონის ალიბეგლოს შ. რუსთაველის სახელობის საშ. სკოლის მოსწავლე), ირმა გაფრინდაშვილი (ქ. ჭიათურის მე-3 საშ. სკოლის პიონერული რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე), ნანა მეუკბანიანი (ქ. თბილისის 153-ე საშ. სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე) და მრავალი სხვა. ისინი სამართლიანად თვლიან, რომ ზარმაცები, რომლებიც ამხანაგს გადაწერას სთხოვენ, თვითონ არღვევენ მეგობრობის პრინციპს და უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ თანაკლასელებს, როგორც მეგობრების, ასევე პედაგოგების წინაშე.

რაც შეეხება ნანას, რომელმაც მეგობარი გადაწერას მიაჩვია და მხოლოდ მეოთხედის ბოლოს „მოაგონდა“ მისი გამოსწორება, ცხადია, მწარე შეცდომა აქვს დაშვებული, რასაც ყველა წერილის ავტორი სწორად შენიშნავს. ნორჩი კორესპონდენტები ყველაზე მეტად სწორედ






ნანას მოქმედებას გმობენ. მას ორმაგ დამნაშავედ მიიჩნევენ.

მთავარი მაინც ის არის, გავერკვეთ, ვის რას აძლევს სხვისი რვეულიდან გადაწერილი საშინაო დავალება: ერთი ინდური ანდაზისა არ იყოს, „რას არგებს სარკე ბრმას?“. თუ აგრერიგად უფრთხი „ორიანს“, მაგრამ მაინც არ მუშაობ და დავალებას არ ასრულებ, იმისი ვაჭკაცობა მაინც გყოფნიდეს, შენვე აგო პასუხი შენს უმოქმედობაზე. თბილისელ გ. თ.-ს, ლიასა და ქეთინოს უნდა ესმოდეთ, რომ მეგობარმა შეიძლება გადაგაწერინოს, მაგრამ არ გეგონოს, მას ეს სიამოვნებას ჰგვრიდეს. ესეც არ იყოს, სხვისი შრომის მითვისებას არასოდეს არავისთვის მოუტანია სიკეთე.

**ლევან ჩიქვანაია,**

თბილისის კ. დ. უშინსკის სახელობის 1-ლი რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლის დირექტორი.

# მეგობრობის ფასი

სასწავლო წელიწადი უკვე სამი თვის დაწყებული იყო, როდესაც მერვე კლასში ახალი მოსწავლე მოვიდა. მაია ერქვა. მეტად სათნო, კეთილი გოგონა ჩანდა, მაგრამ მოსწავლეებმა რატომღაც თავიდანვე ეჭვის თვალით შეხედეს ხუთოსან მოსწავლეს.

— ვნახოთ, როგორი ხუთოსანია, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მანანამ, იგი თვითონაც ხუთოსანი იყო და არ ესიამოვნა მისი მოსვლა.

მაია არავის კარნახობდა.

მოსწავლეებმა იგი აითვალისწუნეს და გადაწყვიტეს, მაიასათვის რაიმე ევნოთ;

ერთხელ მის გვერდით მჯდარმა მამუკამ, სკოლის ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნი მელნით დაუსვარა. მაიამ გაიგო ეს, მაგრამ არ შეიმჩნია. არ გასცა იგი. თვითონ კი საყვედური მიიღო ბიბლიოთეკარისაგან.

მაია ყოველთვის მარტო დადიოდა. იგი სულ მოწყენილი და სევდიანი იყო.

ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მაიასადმი თანაკლასელების მტრული დამოკიდებულება, ერთი შემთხვევა რომ არ მომხდარიყო.

მამუკამ, რომელმაც წიგნი დაუსვარა მაიას, თავისი ონავარი საქციელის გამო, ხელი მოიტეხა. მას სამი კვირა მაინც უნდა გაეცდინა გაკვეთილები და, რა თქმა უნდა, ჩამორჩებოდა სასწავლო პროგრამას.

ერთ დღეს მასწავლებელმა მანანას სთხოვა რომ მამუკას დახმარებოდა.

— გაკვეთილების სწავლა როგორღა მოვასწრო? — პრეტენზია განაცხადა მანანამ.

მაშინ მასწავლებელმა საერთოდ იკითხა:

— მაშ არავის არ სურს დაეხმაროს მამუკას?

— მე დავეხმარები, მასწავლებელო! — წამოდგა მაია, — დღესვე მივალ.

ყუმბარა რომ გამსკდარიყო, ისე არ გაუკვირდებოდათ მოსწავლეებს, როგორც მაიას სიტყვები.

— ტყუილად ამბობს, ალბათ მასწავლებელს უნდა თავი მოაჩვენოსო, — ამბობდნენ ისინი.

მაგრამ მაია თავისი სიტყვის პატრონი იყო. მას თა-




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის გამოჩენა კი არა, არამედ ამხანაგის დახმარება აინტერესებდა.

მართლაც გაკვეთილების შემდეგ მაიამ სახლში მიაკითხა მამუკას. მისი მისვლა, რასაკვირველია, ძალიან გაუკვირდა ამხანაგს.

ყოველდღე ასე მეორდებოდა, მოდიოდა მაია მამუკას სახლში და ამეცადინებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გამოჯანმრთელებული მამუკა დაუბრუნდა სკოლას. მასწავლებლის ყოველ შეკითხვაზე ხელს იწევდა და პასუხობდა. მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც გაკვირვებულნი იყვნენ. თუ აქამდე სამებსაც ძლივს იღებდა, ახლა უკვე ოთხებზე სწავლობდა.

მამუკამ თანაკლასელებს ყველაფერი უამბო და დაარწმუნა ისინი, რომ მაია ნამდვილი საამხანაგო გოგონა იყო.

— რატომ არ გვკარნახობდი? — ჰკითხეს ერთხელ მაიას.

მაიამ მიუგო:

— მამაჩემი მასწავლებელი იყო, უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა, დედა კი დარდმა გადაიყოლა. მამას ყოველთვის ეჯავრებოდა, როცა მოსწავლეს ვინმე კარნახობდა და მეც ყოველთვის ამას მარიგებდა. პირობა მივეცი, რომ მუდამ შევასრულებდი მის სიტყვას. მამუკა, მე ვიცოდი, რომ წიგნი შენ დამისვარე, მაგრამ არაფერი მიგრძნობინებია. მამას არც ამხანაგების გაცემა უყვარდა, თვითონ მიხვდება დანაშაულსაო, — იტყოდა, — თქვა მაიამ და თვალები ცრემლით აევსო.

იმ დღიდან ყველა ცდილობდა თავიანთი დანაშაული როგორმე გამოესყიდათ და მაიას მტკიცე, ერთგული მეგობრები გახდნენ. მათ მხოლოდ ახლა გაიგეს, თუ რა არის ნამდვილი მეგობარი და მიხვდნენ „მეგობრის ფასს“.

**მარინე ჟანჩაშვილი,**
ჟანდარის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

## ნ ა კ ა დ უ ლ ი

მიყვარს კოხტა ნაკადული
ლამაზი და ანკარა
ვერცხლისფერად მობრჭყვიალე
ცივციველა, კამკამა.
ირგვლივ მცენარეებია
მკერდს უმშვენებს ბიბილა,
ბალახებში გაბნეულა
ყვითელგულა გვირილა.
ნაკადული მიტომ მიყვარს

# ჩვენი შემოქმედება

ის სიცოცხლეს დარაჯობს
მოწყურებულს წყურვილს უკლავს
მას სხვა წყალი განა სჯობს.

**ნანა ანთაძე,**
ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურყვეთის რვაწლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლე.

# წ ვ ი მ ა ტ ყ ე შ ი

ხეებზე ჩურჩულით აცეკვდნენ წვიმის წვეთები. თანდათან მოუხშირეს წკაპუნს, თითქოს უხილავი წვიმის კაცუნები შემოესიაო ტყეს. წვეთავდნენ და წვეთავდნენ კაცუნები ნისლიან ციდან. დასველდნენ ხეები, სულ გაილუმპნენ, კაცუნები კი არ ცხრებოდნენ, ისევ და ისევ ატყაპუნებდნენ შიშველ ფეხებს მწვანედ მოელვარე ფოთლებზე. ჩუმი სისველე ნელ-ნელა შეეპარა ხეებს, სქელ ნისლში გაახვია; ღრუბლები ჩამოვიდნენ და წვიმად დაიღვარნენ მოცახცახე ხეებზე, მოშრიალე ბუჩქებზე.

უცებ შორს, ნისლით დაფარულ სივრცეში, მზის ათინათი გამოჩნდა. მზის სხივმა გაარღვია აქოჩრილ ღრუბელთა კორიანტელი და მიწაზე დაეშვა, მოეალერსა გალუმპულ ხეებს, ბრძოლაგადახდილ ბუჩქებს.

წვიმის კაცუნები შეშინდნენ. ჯერ ერთი გაიპარა, მერე მეორე. მათ სხვებიც მიჰყვნენ. ბოლოს ალაგ-ალაგღა დარჩნენ წვიმის გულადი კაცუნები. ისინი ტყის სიჩუმეში ხან აქ, ხან იქ გაიწკაპუნებდნენ ხოლმე. ნისლი თანდათანობით შემოეხსნა ხეებს და წვეთებიც გაუჩინარდნენ.

ცაზე ცისარტყელა გამოჩნდა. ელვარებდა მტრედისფერ ცაზე ცისარტყელა, შვიდფერი ცისარტყელა, და ალბათ დასცინოდა წვიმის მშიშარა კაცუნებს.

**მაია გელუტაშვილი,**
თბილისის 55-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

## რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

ყოველდღიურ ცხოვრებაში, სკოლაში, პიონერულ ბანაკებსა, ტურისტულ ლაშქრობებსა თუ შრომითი მეოთხედების დროს შენს გვერდით ყოველთვის არიან უფროსი ადამიანები — მშობლები, მეზობლები, მასწავლებლები, პიონერხელმძღვანელები, ანდა უბრალოდ უფროსკლასელი კომკავშირელი, უფროსი და ან ძმა, რომლებთან ურთიერთობაც შენ სიამოვნებას განიჭებს, გჯერა მათი. მათ სიტყვას შენთვის განსაკუთრებული წონა აქვს, ერთი სიტყვით, ის ნამდვილი უფროსი მეგობარია შენი. აი, სწორედ ამ უფროსი მეგობრების შესახებ სასაუბროთ გიწვევთ ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი „აისი“. შენი უფროსი მეგობარი — როგორია ის, რაში გამოიხატება თქვენი მეგობრობა, რა კეთილი ნაყოფი გამოიღო ამ ურთიერთობამ. მისი ხასიათის რომელი თვისება გხიბლავს განსაკუთრებით, რაში გინდა მიბაძო მას? აი, ამ კითხვებზე გვინდა გასცეთ პასუხი თქვენს მიერ გამოგზავნილ წერილებში. საუბარში თქვენს გარდა მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, მასწავლებლები, კომკავშირული და პიონერული მუშაკები.

მაშ ასე, ვიწყებთ საუბარს „ჩემი უფროსი მეგობარი“.

ველით თქვენს წერილებს.

ეროვნული

# საინტერესო სიახლენი

## კიდროკინო

ასე ეწოდება ექსპერიმენტულ კინოთეატრს, რომელიც იაპონიაში ააგეს. აქ ტრადიციული ეკრანი შეცვლილია წყლის უწვრილესი ჭავლებით, რომელიც ზევიდან ჩამოდის და ქვემოთ განიერ ღარში ჩაედინება. ამისათვის სცენის ზემოთ, ჭერის გასწვრივ გაყვანილია ჰორიზონტალური მილი, რომელსაც სამ წყებად აქვს დაყოლებული წვრილი ნახვრეტები. საპროექციო აპარატი დარბაზის ნაცვლად, ეკრანის უკან არის დადგმული. ამ კინოთეატრში სხვაც ბევრი სიახლეა, მაგრამ ყველაფერი ეს ამართლებს მასზე გაწეულ ხარჯებს. რადგან კინოკადრები გაცილებით უფრო გარკვევით და მკაფიოდ ჩანან, ვიდრე ტილოს ეკრანზე.

## სალბუნი-თერმომეტრი

დიახ, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი წებოვანი სალბუნის ნაჭერია, რომელსაც კანზე აწებებენ. მაგრამ ეს სალბუნი უჩვეულოა. მისი ქსოვილი გაჟღენთილია განსაკუთრებული, უვნებელი ქიმიური ნივთიერებით, რომელიც სხეულის ტემპერატურის მიხედვით იცვლის ფერს, თეთრიდან შავამდე. ეს სალბუნი — თერმომეტრი შვეიცარელმა სწავლულებმა გამოიგონეს...

## რკალისებური პიანინო

ჩვენ საუკუნეში, როცა მრავალი ახალი მუსიკალური ინსტრუმენტი გაჩნდა, — პიანინო მაინც ინარჩუნებს ძველ პატივისცემას, მაგრამ ვერც ის გაექცევა მოდერნიზებას, ამბობენ ფრანგი გამომგონებლები. მათ შექმნეს პიანინო, რომლის კლავიატურა, ჩვეულებრივ სწორ ხაზზე კი არ არის განლაგებული, არამედ რკალის ფორმა აქვს. პიანისტს ახლა ნაკლებად უწევს გადახრა მარჯვნივ ან მარცხნივ განაპირა კლავიშების მისაწვდომად. ევროპის ბევრმა გამოჩენილმა მუსიკოსმა მოიწონა ეს სიახლე — „რკალისებურ პიანინოზე დაკვრა უფრო მოხერხებულია და სასიამოვნოც“ — განაცხადეს მათ.

## ტკბილი ხელსაწყოები

ელექტროხელსაწყოების ასაწყობად საჭიროა პლასტმასის დამხმარე ნაწილები. როცა აწყობა დამთავრდება, ცდილობენ ეს დამხმარე ნაწილები მოაშორონ ხელსაწყოს. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს შეუძლებელი ხდება, და ეს ნაწილები სამუდამოდ რჩება ხელსაწყოში, რითაც აძნელებს ვენტილაციას და ამძიმებს მათ. ამასწინათ მიუნხენის (გ ფ რ.) ერთმა ელექტროფირმამ დაიწყო დამხმარე ნაწილების დამზადება დაწნეხილი შაქრისაგან. აწყობის დამთავრების შემდეგ ხელსაწყოს რეცხავენ თბილი წყლით, შაქარი დნება და გარეთ იღვრება. ამასგარდა წყალს ურევენ სხვადასხვა ნივთიერებებს, რომლებიც დეტალებს არამარტო შაქრისგან წმენდენ, არამედ აცლიან ზეთის ლაქებსა და ათასგვარ სხვა ჭუჭყსაც.

## როგორც იქნა უძვლო თევზი

ყველამ ვიცით, რა გემრიელია შემწვარი ჭანარი, მაგრამ ისიც ვიცით, რომ, სამწუხაროდ, ეს თევზი ძალზე ძვლიანია.

მრავალი წლის სელექციური მუშაობის შემდეგ, პოლონელმა სპეციალისტებმა მიაღწიეს იმას, რომ მათ მიერ გამოყვანილი ჭანარის სახეობას თითქმის აღარა აქვს წვრილი ძვლები.

ექსპერიმენტი იმითი დაიწყო, რომ სარკისებრი ჭანარის გუბურებში, შერჩევით იჭერდნენ იმ ჭანარებს, რომელთაც ნაკლები ქიცვი ჰქონდათ, რადგან მეცნიერებმა შენიშნეს, რომ რაც უფრო ნაკლები ქიცვი ჰქონდა თევზს, იმდენად ნაკლებად ძვლიანი იყო.

ყოველ ახალ თაობას გულმოდგინედ აკონტროლებდნენ რენტგენის აპარატით, არჩევდნენ და ასე თანდათანობით იქნა გამოყვანილი ჭანარი, რომელსაც მინიმალური რაოდენობის ძვალი და ძალიან გემრიელი ხორცი აქვს.

## რობოტი მეხანძრე

იაპონიის ქალაქ იოკოგამაში, ხანძრების ჩაქრობაში მონაწილეობს უჩვეულო მეხანძრე. ამასთან იგი, როგორც წესი, მხოლოდ ისეთ ადგილებში გამოჩნდება ხოლმე, სადაც ადამიანის ყოფნა სასიკვდილოა, ანდა იქ, სადაც ჩვეულებრივი მეხანძრე, დამცველ კოსტიუმშიც კი, ვერ შესძლებს ცეცხლის კერასთან მიახლოებას მაღალი ტემპერატურის გამო.

ეს უშიშარი, უვნებადი თანაშემწე — რობოტი საკმაოდ რთული აგრეგატია, რომლის მართვაც, სპეციალური ხელსაწყოებით, შორი მანძილიდან ხდება. ამასთან ერთ-ერთი ხელსაწყო, რობოტის კორპუსში რომ არის მოთავსებული, სახანძრო რაზმის ხელმძღვანელობას განუწყვეტლივ აცნობებს ხანძრის ზონაში ტემპერატურის ცვლილებას.

## სიახლე პირის გადაღებაში

ეს უჩვეულო ქაღალდი, რომლის გამოშვებასაც პოლონეთის ქალაქ კელცის ქაღალდის ფაბრიკა ახლო ხანში დაიწყებს, განკუთვნილია პირის გადასაღებად. პირის გადასაღები ქაღალდი უკვე აღარ იქნება საჭირო. ვინაიდან ყოველი ქაღალდის ფურცლის ცალი მხარე, დაფარული იქნება განსაკუთრებული ნივთიერების თხელი ფენით, და სწორედ ეს ფენა შეცვლის პირის გადასაღებ ქაღალდს.

## კიდევ ერთი პირამიდა

ცნობილია ეგვიპტის პირამიდებისადმი მსოფლიოს ტურისტების შეუნელებელი ინტერესი. მალე სპეციალურად მათთვის, კაიროს ახლოს აიგება კიდევ ერთი პირამიდა — ამჯერად შუშისა, ბეტონისა და ფოლადისაგან. სიმაღლით იგი ქიშპობას გაუწევს თვით ხეოფსის პირამიდას.

პირამიდა — მუზეუმის რვა სართულზე თანმიმდევრობით იქნება განლაგებული ექსპონატები, რომლებიც ახსნიან ეგვიპტის მთელ ისტორიას, პირველი ფარაონებიდან მოყოლებული ასუანის კაშხალამდე.

# გაზაფხულის მწვერვალი

ბუნების მთელი მშვენიერება ყველაზე მეტად მაისში იფურჩქნება. ნორჩი სიმწვანისა და ყვავილების ზღვაში იძირება დედამიწა. ლურჯი წამწამები გაახილეს მოხდენილმა მინდვრის ყვავილებმა. ნაირფერად მოიქარგა მდელოები. ღრუბლების თეთრი ქულები ნარნარად დაცურავენ მოწმენდილ ცაზე და უკვალოდ იკარგებიან ლაჟვარდისფერ კაბადონზე.

იკოკრება ვარდი. ნიავი ნაზად არხევს მაისის ბაღის მორცხვ ლამაზმანებს — ლილისფერ იასამნებს, ხოლო როცა ყვავილობას ასკილი იწყებს — ეს უკვე ფენოლოგიური ზაფხულია.

სულ სხვაა მაისის ტყე. სისხამ დილით სადღაც, ცის დასალიერზე, შორს შემპარავად ნათდება ცისკარი, დილის შუქზე იჭმუხნებიან ღამის სიბნელეს შეჩვეული წიწვოვნები. მალე სულ ახლოს განათდება, გაბრწყინდება ხე-ბალახ-ბუჩქი, თითოეულ ტბორში მეწამულ-ვარდისფერად აირეკლება აისის მზის სხივები. ბევრი როდი დაიკვეხნის, გაზაფხულის ტყე განთიადისას მინახავს, მისუნთქავს მისი შეუდარებელი სურნელი — წიწვოვანთა, მოყვავილე ვერხვების, აკაციის, შქერის, სხვადასხვა მცენარეთა გაღვიძებული წვენების სურნელით.

სადღესასწაულო ჩაცმულობით სწრაფად ირთვება ტყე. ჰყვავის იფანი და თელა, ტირიფი და ვერხვი, ნაძვი და ფიჭვი. რა თქმა უნდა ყველა ერთნაირი სიკაშკაშითა და დიდებულებით როდი ხარობს, მაგრამ თითოეულს გააჩნია მშვენიერების სხვისგან განსხვავებული ხელწერა. ყოველ მაისობას რაღაც ახალს გვიმზადებს დედა-ბუნება, რომელსაც სხვას ვერას უწოდებს კაცი, თუ არა გაზაფხულის ტყის ზღაპარს. და მართლაც, ყველაზე უხვი ფანტაზიით შემკული ზღაპარი ცხოვრობს ყველაზე ჩვეულებრივ ტყეში. ყოველ ახალ გაზაფხულზე თავიდან ელოდება იგი თავის პირველ აღმომჩენებს. იგი არასოდეს ხუნდება დროთა მსვლელობით.

მაისში ყველა ახალი დღის დაბადებასთან ერთად გაისმის ტყის სიმფონიური მუსიკა — ბუნების მგოსნები თავის გამოსაჩენად ძალასა და ოსტატობას არ იშურებენ. მაგრამ მომღერალ „ვარსკვლავთა“ შორის კონკურსგარეშეა გალობის დიდოსტატი ბულბული. მისი ხმა იმდენად ჰარმონიულად ერწყმის გარემოს, რომ ბუნების მთელ რიგ ლანდშაფტებს ბულბულისას უწოდებენ.

მშობლიურ მთა-ველს დაუბრუნდნენ ფრინველები. მოფრენას განაგრძობენ ღაჟო, ყაპყაპი... სულ ბოლოს, არიერგარდში მოდიან ნარინჯისფერ-ოქროსფერი მოლაღურები და მწივანა ნამგალები. მაისში ფრთოსნები დიდ თადარიგს იჭერენ შთამომავლობის გასაზრდელად. უმრავლესობა ბუდეს ღიად აგებს, თუმცა, უსაფრთხოებისათვის ყოველნაირად ნიღბავენ. სხვები ამავე მიზნით იყენებენ მზამზარეულ თავშესაფარს: ხის ფუღუროებს, სოროებს, ნაპრალებს. ერთნი თვითონვე აკეთებენ თავშესაფარსაც და ბუდესაც. ჩვენი ფრთოსნებიდან ასეთებია: კოდალა, სანაპიროს მერცხალი, კაჭკაჭი.

ბუდის აგებამდე ფრინველები წყვილდებიან. ზოგიერთები — ყვავები, ბატები, გედები, შინაური მტრედები, წეროები და მტაცებლები — სამუდამოდ წყვილდებიან, მგალობლები კი, ჩვეულებრივ მხოლოდ ერთი სეზონით ირჩევენ წყვილს. ზოგიერთნი — როჭოები, იხვები საერთოდ არც წყვილდებიან.

მთელ ზრუნვას და ინიციატივას ბუდის ასაგებად, ბარტყების აღსაზრდელად თავის თავზე მხოლოდ მდედრი იღებს. გაშლილ გრუნტზე მობუდარი ფრინველების კვერცხებს ჩვეულებრივ დამცველი შეფერილობა აქვს. ასე მაგალითად, ზოგიერთი ღაღღის კვერცხს ვერც გაარჩევ ირგვლივ მოფენილ ქვა-კენჭებისაგან, ხოლო როჭოსას — შარშანდელი დაცვენილი ფოთლების შეფერილობისაგან. იმ ფრინველთა კვერცხებს კი, რომლებიც ფუღუროებში ბუდობენ, რაღა თქმა უნდა, აღარ სჭირდებათ დამცველი შეფერილობა. ამიტომ, კოდალები, შოშიები, წიწკანები და სხვები ერთფეროვან, ხშირად თეთრ ან ცისფერ კვერცხებს დებენ.

მაისში დღის სინათლეს ეზიარებიან წავების, თხუნელების, დედოფალების ახალი თაობები. მეორე ნამატი ჰყავთ კურდღლებს, იბადებიან ირმის, შვლის ნუკრები. ბუნების ჭრელად მოხატულ პანოს კიდევ მეტ ლაზათს ჰმატებენ ათასფრად მოხატული პეპლები.

გაზაფხულის პირველმა ჭექა-ქუხილმა ენა ამოადგმევინა ზოგიერთ ამფიბიას. მეთევზეებმა იციან, რომ ბაყაყების პირველ ყიყინზე ქარიყლაპია ქვირითობას იწყებს.

ბუნების კანონთა, მისი „ენის“ ცოდნა დიდ სამსახურს უწევს მებაღეს, მონადირეს, მეთევზესა თუ პიონერულ ლაშქრობათა მოყვარულ მოსწავლეებს. ნორჩმა ნატურალისტმა უნდა იცოდეს, თუ რას უკარნახებენ მას ბუნების ცოცხალი სინოპტიკოსები. ეს კი ხშირად ძალიან საჭიროა. ნაღდი სინოპტიკოსია ტოროლა. თუ წვიმიან ამინდში ეს ხმაწკრიალა ფრთოსანი საგალობლად ცაში აიჭრება — ეს გამოდარების უტყუარი ნიშანია. შეგიძლია ზურგზე მოიგდო ზურგჩანთა და გაბედულად შეუყვე მთის ბილიკებს. პირიქით, გაავდრების წინ, ფუტკრები გუნდებად იჩქარიან სკებისაკენ, ჭიანჭველები სასწრაფოდ ხურავენ თავიანთ სახლებში ჩასასვლელ ხვრელებს. ბევრი ცხოველი წინათგრძნობს უამინდობას, მათ რაღაც საიდუმლო „რადიოლოკატორები“ გააჩნიათ.



ველ-მინდვრებს ამშვენებენ ათასფრად მოხატული პეპლები.

ბუდეს უჟივიან ბარტყები.

კლდის თავს გაშლილა პირიმზე, მთის სასახელო ქალია.

ყვავილობს ქართული კოწახური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ძნელაძე




მაისის თვეა...
და თუ შენ იტყვი:
— რატომ მაისი
და არა მარტი, —
რატომ და... მიხვდი?..
კიდევ ვერ მიხვდი?..

შეხედე! — ტოტზე
ულურტულებს ბარტყი.

შეხედე! —
თეთრი მდინარის გაღმა
ხეები მზეში
ფეთქავენ როგორ...
სიმღერ-სიმღერით,
ქარივით ლაღი,
ბილიკზე ჩარბის
პატარა გოგო.

შეხედე! —
მწვანედ ღაღანებს ყანა,
შორიდან მართლა
ზღვასავით მოჩანს...
შეხედე და თქვი:
მთები რას ჰგვანან!
რაო, ღრუბლებსო?
სწორია, ყოჩაღ!

შეხედე! —
მოსკდა სინათლის ჩქერი,
გუგუნებს მზე
და
მიწა ბანს აძლევს.
უყურე, —
ფეთქავს მაისის ფერი,
მღერის ჰაერი —
ჩიტებით სავსე.

ხეების თავზე
გაწოლილ სივრცეს
რაღაც ფრინველი
შხუილით სერავს...
ჰაერს რომ ყური
დაუგდო, —

ისმენ
უხილავ სიმთა
იდუმალ ჟღერას...

მე ახლა მჯერა:
შენ აღარ იტყვი,
— რატომ მაისი
და არა მარტი! —
აქვს საკუთარი
ყველაფერს რიტმი,
დუნე და ჩქარი,
ნელი და სწრაფი.

... როგორ დავიწყე?..
ჰო! — მაისია...
მივდივარ გზაზე,
ვღიღინებ ჩუმად...
უცხო ქალაქში
ჩასული სტუმრად —
კაცი რომ შეხვდეს
ვინმე მისიანს, —
ისე მხვდებიან
ხეები გზაზე,
(ეს ჩემს მშობლიურ
სოფელში ხდება).
ბინდი ანაზებს
ხასხასა ხაზებს
და გზაც დასასრულს
უახლოვდება.

საოცარი ბარომეტრები არიან თევზები. დააკვირდით: თუ წყლის ფსკერის განდევგილმა-ლოქომ ზედაპირზე ამოყვინთა, გაზაფხულის წვიმა წამოუშხაპუნებს. ვინ მოთვლის, რამდენ მსგავს სინოპტიკურ გაკვეთილს გვიტარებს ბუნება. მხოლოდ დაკვირვებული თვალია საჭირო.

...მაისის ადრიან დილას მზის საგალობელით ხვდებიან ფრინველები. აგერ კაკლისხეზე მოლაღური შემომჯდარა, თავი აღმოსავლეთით მოუღერებია და „ბიჭო-გოგიას“ ისე თავდავიწყებით გაჰკივის, თოფის გასროლასაც ვერ გაიგებს.

მაინც რატომ მღერიან ფრინველები? ნუთუ ფრინველთა გალობა სხვა არაფერია, თუ არა სიხარულის, ანდა დარდის გამოხატვის თავისებური ფორმა? ფრინველთა ქცევებზე დაკვირვებებით მეცნიერები შემდეგ დასკვნამდე მივიდნენ: თურმე ფრინველთა, მათ შორის ბულბულის სტვენა არ გამოხატავს არც სევდას, არც სიხარულს, არც ექსტაზს. იგი მხოლოდ და მხოლოდ სხვა ბულბულების გაფრთხილებაა, რომ ეს ტერიტორია მას ეკუთვნის. საინტერესოა ისიც, რომ საკუთარი სამფლობელოს დასაცავად განკუთვნილ სიმღერებს მარტოხელები უფრო ინტენსიურად ასრულებენ, ვიდრე დაწყვილებულები. შემჩნეულია, თუ მარტოხელა ბულბული დღის განმავლობაში სამი ათას ექვსას სიმღერას ასრულებს, მისი „დაოჯახებული“ მეზობელი ამ სიმღერის მესამედსაც არ მღერის.

დღეს საბოლოოდ დადგინდა, რომ სიმღერა ფრინველებისათვის გულის სწორთან „სალაპარაკო ენაა“, საკუთარი ტერიტორიის ხელშეუხებლობის ნიშანია, იგი სიცოცხლის თავისებური განაცხადია, „მე ვხედავ მზეს, მე ბედნიერი ვარ, რომ ვცოცხლობ!“

მაისია — წლის, სიცოცხლის ამ ყველაზე შესანიშნავი დროის მწვერვალი.

არნ. ბებეჟკორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.









# პითაგორა

## ისევ მარტივი რიცხვების თაობაზე

წინა წერილში ჩვენ გავეცანით მარტივ და შედგენილ რიცხვებს, ევკლიდეს თეორემას მარტივ რიცხვთა სიმრავლის უსასრულობის შესახებ, ერატოსთენეს ცხრილს. ამჯერად მარტივ რიცხვთა განლაგებაზე ვისაუბროთ.

1. როგორც ვნახეთ, მარტივ რიცხვთა სიმრავლე ნატურალურ რიცხვთა უსასრულო სიმრავლის ნაწილი ანუ ქვესიმრავლე, თავადაც უსასრულოა. ბუნებრივია, ვიკითხოთ — როგორ არის ეს ნაწილი განლაგებული მთელში? საბოლოო პასუხი ამ კითხვაზე დღესაც არ არის ცნობილი, — არავითარი მარტივი კანონი ამ რიცხვთა განლაგებაში არ შეიმჩნევა. ამაში ჩვენც ადვილად დავრწმუნდებით. ავიღოთ, მაგალითად, 100-ზე ნაკლებ მარტივ რიცხვთა სიმრავლე:

2, 3, 5, 7, 11, 13, 17, 19, 23, 29, 31, 37, 41, 43, 47, 53, 59, 61, 67; 71, 73, 79, 83, 89, 97.

რიცხვთა ამ მწკრივის დასაწყისში ორი ერთმანეთის მომდევნო ნატურალური რიცხვია — 2 და 3. ცხადია, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ორი მეზობელი ნატურალური რიცხვიდან ორივე მარტივია — 2-ის გარდა ყველა მარტივი რიცხვი ხომ კენტია! წავიდეთ წინ. 3-ის შემდეგ არის 5. მათ შორის „მანძილი“ ერთი რიცხვია. იგივე „მანძილია“ 5-სა და 7-ს შორის. მაგრამ 7-სა და 11-ს შორის უკვე სამი შედგენილი რიცხვია. შემდეგ ისევ მეზობელი კენტი რიცხვებია — 11 და 13 და ა. შ. ერთმანეთისაგან ყველაზე დაშორებულია 89 და 97 — მათ შორის შვიდი შედგენილი რიცხვია, მაგრამ თუ მარტივ რიცხვთა ამ მწკრივს განვაგრძობთ, ისეთ მეზობელ მარტივ რიცხვებსაც აღმოვაჩენთ, რომელთა შორის „მანძილი“, შვიდზე მეტია. ასეთებია, მაგალითად, 113 და 127 ან 139 და 149. ამასთან, ისევ შეგვხვდება რიცხვები, რომელთა შორის „მანძილი“ უმცირესია — 149 და 151, 179 და 181, 191 და 193. როგორც ვხედავთ, არავითარი კანონზომიერება ამ განლაგებაში არ არის...

2. ახლა გავარკვიოთ, რამდენად დიდი შეიძლება იყოს „მანძილი“ ორ მარტივ რიცხვს შორის. დავამტკიცოთ, რომ იგი ნებისმიერად დიდი შეიძლება იყოს. დავამტკიცოთ, მაგალითად, რომ ნატურალურ რიცხვთა მიმდევრობაში მოიძებნება მონაკვეთი, რომელიც ერთმანეთის მომდევნო ას შედგენილ რიცხვს შეიცავს.

მართლაც, გადავამრავლოთ ყველა ნატურალური რიცხვი 2-დან 101-მდე ჩათვლით:

$2\cdot3\cdot4\cdot5 \ldots 97\cdot98\cdot99\cdot100\cdot101.$

ეს ძალიან დიდი რიცხვია. აღვნიშნოთ იგი A-თი:

$A=2\cdot3\cdot4\cdot5 \ldots 97\cdot98\cdot99\cdot100\cdot101.$

ცხადია, რომ A უნაშთოდ იყოფა 2-ზე, 3-ზე, 4-ზე... 100-ზე, 101-ზე ახლა ამ რიცხვს დავუმატოთ 2, 3, 4,..., 100, 101. მივიღებთ ერთმანეთის მომდევნო 100 რიცხვს:

$A+2,\quad A+3,\quad A+4,\quad \ldots, A+98, A+99,\ A+100,\ A+101.$

ყველა ეს რიცხვი შედგენილია. მართლაც, პირველი, ე. ი. $A+2$ იყოფა 2-ზე (ვინაიდან 2-ზე იყოფა ორივე შესაკრები — A და 2), მეორე, ე. ი. $A+3$, იყოფა 3-ზე. (ორივე შესაკრები იყოფა 3-ზე), მესამე, — $A+4$ იყოფა 4-ზე და ა. შ. უკანასკნელი — მესი რიცხვი $(A+101)$ იყოფა 101-ზე.

ამრიგად, ვიპოვეთ ერთმანეთის მომდევნო ასი შედგენილი რიცხვი. ასევე შეგვიძლია ვიპოვოთ ათასი, ათი ათასი, ასი ათასი და უფრო მეტი ერთმანეთის მომდევნო ნატურალური რიცხვი. დამტკიცება ანალოგიურია. (შეეცადეთ ამ დამტკიცების ჩატარებას ათასისათვის).

3. მაშ ასე, „მანძილი“ ორ მეზობელ მარტივ რიცხვს შორის შეიძლება რაგინდარა დიდი იყოს. ამასთან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთადერთ გამონაკლისს — 2-ისა და 3-ის შემხთვევას, ორ მეზობელ მარტივ რიცხვს შორის უმცირესი „მანძილი“ ერთი რიცხვის ტოლია. პირველ ასეულში მარტივ რიცხვთა 8 ასეთი წყვილია: (3, 5), (5, 7), (11, 13), (17, 19), (29, 31), (41, 43), (59, 61), (71, 73).

ასეთ რიცხვებს **ტყუპი მარტივი რიცხვები** ეწოდება. მაშასადამე, თუ P და $P+2$ რიცხვები მარტივია, მაშინ ისინი ტყუპებია.

დღემდე არაა ცნობილი, სასრულია თუ არ ტყუპ მარტივ რიცხვთა სიმრავლე.ვარაუდობენ, რომ იგი უსასრულოა. დღეისთვის ცნობილი უდიდესი წყვილი ტყუპი რიცხვებისა არის 1000000009649, და 1000000009651.

4. ამრიგად, გარკვეული რამის თქმა მარტივ რიცხვთა განლაგების შესახებ არ შეიძლება. გამოდის, რომ „ბრძოლა მარტივ რიცხვებთან“ წაგებულია... არავითარ შემთხვევაში, — მათემატიკოსები არასოდეს იხევენ უკან, არც ამ შემთხვევაში დაიხიეს. მათ კითხვა სხვანაირად დასვეს და ბევრი რამ გაირკვა. ვნახოთ, რა კითხვაა ეს და როგორია მასზე პასუხი.

ვთქვათ, n მოცემული ნატურალური რიცხვია. აღვნიშნოთ $\pi(n)$-ით (იკითხება: „პი ენ“) რაოდენობა იმ მარტივი რიცხვებისა, რომლებიც n-ს არ აღემატებიან. $\pi(n)$-ის მნიშვნელობა პატარა n-ისთვის ძალიან ადვილი გამოსათვლელია — ამისათვის საკმარისია დავთვალოთ მარტივ რიცხვთა რაოდენობა 1-დან n-მდე უკანასკნელის ჩათვლით. მაგალითად, $\pi(1)=0, \pi(2)=1, \pi(3)=2, \pi(4)=2, \pi(5)=3, \pi(6)=3, \pi(20)=8, \pi(50)=15, \pi(100)=25$. შეამოწმეთ.

უცბად თვალში გვეცემა $\pi(n)$-ის ცვლილების უცნაური ხასიათი. საერთოდ, არავითარი მარტივი ფორმულის დაწერა $\pi(n)$-ისათვის არ

შეიძლება. ეს გასაგებიცაა — მარტივ რიცხვთა განლაგება ხომ არავითარ კანონს არ ემორჩილება! მაგრამ თავი დავანებოთ π(n)-ის ფორმულის ძებნას და ასეთი კითხვა დავსვათ: რას უდრის π(n):n შეფარდება, ე. ი. როგორი სიხშირით გვხვდება მარტივი რიცხვები ნატურალურ რიცხვთა მწკრივში? თურმე n-ის ზრდასთან ერთად შეფარდება მცირდება. ეს კარგად ჩანს შემდეგი ცხრილიდან:

| n | π(n) | π(n):n |
|---|---|---|
| 10 | 4 | 0,4 |
| 100 | 25 | 0,4 |
| 1000 | 168 | 0,17 |
| 10000 | 1 229 | 0,12 |
| 100000 | 9 592 | 0,096 |
| 1000000 | 78 498 | 0,078 |
| 10000000 | 664 579 | 0,066 |
| 100000000 | 5 761 455 | 0,057 |
| 1000000000 | 50 847 478 | 0,051 |

დამტკიცებულია, რომ π (n):n შეფარდება ზრდასთან ერთად ნულს უახლოვდება — შეიძლება n იმდენად დიდი ავიღოთ, რომ ეს შეფარდება ნებისმიერად მცირე იყოს. პირველად ეს ფაქტი XVIII საუკუნის უდიდესმა მათემატიკოსმა ლეონარდ ეილერმა დაამტკიცა. შემდგომში დიდმა რუსმა მათემატიკოსმა პაფნუტი ჩებიშოვმა (1821-1894) კიდევ უფრო დააზუსტა ეილერის შედეგი და შესანიშნავი კანონზომიერება აღმოაჩინა π(n):n შეფარდების ცვლილებაში, მაგრამ ამაზე ჩვენ ცხადია ველარ შევჩერდებით.

როგორც გახსოვთ, ჟურნალის მე-2 ნომერში მკითხველებს ვთავაზობდით ერატოსთენეს ცხრილის დახმარებით მოეძებნათ მარტივი რიცხვები 1-დან 250-მდე შუალედში და გარდა ამისა, ამოეხსნათ შემდეგი ამოცანა: დაამტკიცეთ, რომ თუ p მარტივი რიცხვი მეტია 3-ზე, მაშინ $p^2$—1 უნაშთოდ იყოფა 24-ზე.

ჩვენ გვიპასუხეს მოსწავლეებმა [illegible] ელაშვილმა, ალ. ქურდღოვანიძემ, [illegible] ჟიამ და სხვებმა. მათ სწორად მოძებნეს მარტივი რიცხვები 1დან 250-მდე შუალედში, მაგრამ მათი მსჯელობა ამოცანის ამოხსნისას სრული არ არის: მათ შეამოწმეს, რომ $p^2$—1 იყოფა 24-ზე, თუ p არის 5, 7, 11, 13, 17, 37, 61, 83 და აქედან დაასკვნეს, რომ $p^2$—1 იყოფა 24-ზე, 3-ზე მეტი ყველა მარტივი p-სთვის.

ცხადია, რომ ამ მსჯელობას აკლია ზოგადობა და ამდენად მას ამოხსნას ვერ დავარქმევთ. აი, როგორია ამოხსნა.

ცხადია, რომ $p^2-1=(p-1)(p+1)$. რადგან p მარტივია და მეტი 3-ზე, ამიტომ p—1 და p+1 ლუწი რიცხვებია, თანაც ერთმანეთის მომდევნო. მათგან ერთი იყოფა 2-ზე, მეორე — 4-ზე, ნამრავლი კი 8-ზე. შემდეგ, p—1, p, p+1 ერთმანეთის მომდევნო სამი რიცხვია და ამიტომ ერთი იყოფა 3-ზე. p მარტივია (მეტი 3-ზე) და ის არ იყოფა. მაშასადამე, იყოფა p—1 ან p+1. ამრიგად, (p—1) (p+1) ნამრავლი იყოფა 8-ზე და 3-ზე, ე. ი. 24-ზე.

გიორგი თოფაძე.




ლევან ფრუიძე

საგანძურები

მუზეუმი ვის არ დაუთვალიერებია, ვის არ გაუვლ-გამოუვლია მის მყუდრო დარბაზებში გამოფენილი ექსპონატების წინ. მაგრამ განა ბევრია ჩვენს შორის ისეთი, ვინც გულდადინჯებული ფიქრით გაყოლია იქ დაუნჯებულ თითოეულ ნივთს და გონების თვალსაწიერით აღუდგენია გარდასული გარემო, წარსული? გაუცოცხლებია ის ადამიანები, ვისი ხელიც ამ ნივთებს შეხებია? ალბათ ცოტანი თუ იქნებიან ასეთები.

ჰოდა, ვისაც გინდათ წარმოიდგინოთ ყოველივე ეს, და თანაც, გსურთ ჩაიხედოთ მუზეუმების საცავებში, სადაც ჩვეულებრივი დამთვალიერებლის თვალს არ ჩაუხედავს, ხელი ჩაკიდეთ ლ. ფრუიძის წიგნის — „საგანძურების" — გმირს დაჩი პაპას — სამშობლოს სიყვარულში გათეთრებულ, სიკეთესა და პატიოსნებაზე გადაგებულ ბრძენკაცს, დაიარეთ მუზეუმები და დატკბით საქართველოს საგანძურების ხილვით.

... აგერ, თრიალეთში ნაპოვნი ნივთების გამოფენა. თვალწინ გადაგეშლებათ თრიალეთის წარმტაცი ზეგანი. აბიბინებული ველები, მორაკრაკე ნაკადულები, საბალახოდ გაფენილი საქონელი. ჯვალოსჩოხიანი, ნაბდისქუდიანი მწყემსები, წელზე რომ რქისტარიანი ბრინჯაოს დანები აქვთ ტყავის თასმით მიმაგრებული. მათი სადგომები, ქარაფებზე შემდგარი ციხე-ქალაქები.

ახლა ვანის ოქროს ნივთების კარადა! ორი ტურფა კოლხი ასულის უძვირფასესი სამკაულები. ერთი 1960 წელს, მეორე — 1969 წელს აღმოჩენილი. ვანში შემდგომაც გაგრძელდა გათხრები. დღის სინათლე იხილეს უძველესმა ციხესიმაგრეებმა, სასახლეებმა, ქუჩებმა, ქანდაკებებმა. გათხრები დღესაც გრძელდება და, ვინ იცის, კიდევ რა სიხარულსა და გაოცებისათვის გვამზადებს ვანის მადლიანი მიწა.

იქვეა ახალგორის განძი. კოლხი ქალწულის კბილა ქსნისხეველი ასულის სამკაულები. ცხენების გამოსახულებიანი ბაჯაღლო ოქროს სასაფეთქლეები, უნატიფესი საყურეები, თვლიანი ბეჭედი, ცვარათი დანამული ყელსაბამი.

მესამე კარადიდან თითქოს სასოწარკვეთილი ჩურჩული გაისმის: — მე ვარ სერაფიტი, ასული ზევახ მცირისა, პიტიახშისა, ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა — ძლევამოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოძღვრისა...

შემდეგ ისევ ოქროს საუფლო — ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურები...

მსოფლიოს ბევრ ქვეყანას აქვს საგანძურები, უფრო მდიდარი ვიდრე ჩვენი, მაგრამ ქართველთა საუნჯე სულ სხვაა. იგი, ძირითადად, ქართველი კაცის ნიჭიერებისა და შრომის ნაყოფია. იგი ჩვენი შექმნილია. ზღვასავით ულევია დიდ სახელმწიფოთა საგანძურები, რადგან მრავალი ხალხის სისხლისა და ცრემლის მდინარე ოქროდ ჩაღვრილა შიგ. ჩვენ კი სხვისი არაფერი გვაქვს. მართალია, ბევრი რამ წარგვტაცეს, მაგრამ ქართულმა მიწამ იმდენი რამ შემოგვინახა მრავალთაგან, მრავალს მიწყივ განაცვიფრებს.

ეს წიგნი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ შთამომავლობას არა მარტო ის უნდა გადავცეთ, რაც დღემდე მოგვიტანია, არამედ უნდა გავაათკეცოთ, გავაასკეცოთ ქვეყნის ბარაქა, რათა ქართველ ხალხს კაცობრიობის მრავალრიცხოვან ოჯახში მუდამ ჰქონდეს თავისი ღირსეული სახელი და ადგილი.

ზ. ლეჟავაშელი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# მატარებლისა და სპილოს ჭიდილი

უილიამ კოცუინკლი
ამერიკელი მწერალი.

მხატვარი
გ. ფოცხიშვილი.

გორაკის ფერდობზე შეფენილმა ყვავილებმა გაიტყუეს დიდი სპილო. მწვანე აღმართს აუყვა, ხორთუმით გლეჯდა გემრიელ ყვავილებს და ხარბად ყლაპავდა. ჯოგები ძოვდნენ და აღარც ბღავილი ისმოდა, აღარც ღმუილი. მტაცებლებმაც ნანადირევით გული იჯერეს და ახლა მშვიდად წამოწოლილიყვნენ მზით გახვითქნებულ კლდეებზე. დილის სიმშვიდეს არაფერი არღვევდა. სპილო კი მიჩვეულია ალიონიდან ალიონამდე პირის ჩატკბარუნებას, ძალიან კმაყოფილი ნთქავდა ყვითელ ყვავილებს და სიამოვნების ნიშნად კუდს იქნევდა.

ასე შეუმჩნევლად ავიდა მაღლობზე და სრულიად უჩვეულო გზა-ბილიკი ნახა: ფართო და ქვებით დაფარული, როგორც გამშრალი მდინარის კალაპოტი. ყვავილები ამ ქვებშიაც ხარობდნენ, და სპილოც ხარობდა. ბალახობდა და ზანტად მიიწევდა წინ, თან გაკვირვებული ფიქრობდა, ნეტა რომელმა ნადირმა გაკვალაო ასეთი ფართო გზა. ბილიკის ორსავე მხარეს გრძელი, კრიალა ძვლები გაჭიმულიყო, ცხელი და მაგარი, სუნითაც უცხო და უცნაური. ხეებს შორის მიიკლაკნებოდნენ და შორს იკარგებოდნენ. არასოდეს თავის ჯუნგლებში ასეთი რამ ჯერ არ ენახა.

ყვითელი ყვავილების ძებნაში ჯოგს საკმაოდ დიდი მანძილით ჩამოშორდა, თავზე რატომღაც სიკვდილის ფრინველები დასტრიალებდნენ მისთვის უცნობ მხარეში, მაგრამ სპილოს არ ეშინოდა. ჯიქს მოერია, გათელა, ელვასავით სწრაფ ავაზას ეშვი გაუყარა და ზედ ააგო. ლომთან შეყრა არ მოუწევდა: ნადირთა მეფეებს საჩხუბარი არაფერი აქვთ. ფეხადგმული გორაკივით მიიწევდა წინ, ბალახსა და ყვავილებს ნთქავდა.

უეცრად მაიმუნებმა განგაში ატეხეს — სწორედ ისე, როგორც აჩოჩქოლდებიან ხოლმე, როდესაც გზაზე მტაცებელი ნადირი გამოჩნდება. ანტილოპები ველზე გაიფანტნენ. სპილომ ჭამა შეწყვიტა და ყური მიუგდო შორეულ გუგუნს, რამაც ანტილოპები დააფრთხო. გუგუნი იმნაირი იყო, თითქოს ველზე სპილოების ჯოგი გამორბოდა, მაგრამ ვერც ერთი ნაცნობი ხმა ვერ შეიცნო. მერე ისევ განაგრძო ბალახობა და თან ყურდაცქვეტილს ცალი თვალი იქით ეჭირა, საიდანაც გუგუნი ისმოდა. მიწა ირყეოდა, ის კი განაგრძობდა ჭამას, ოღონდ ადრინდელი სიამოვნებით კი არა.

მალე უზარმაზარი ჩრდილი დაინახა, ხეებს შორის რომ მოიკლაკნებოდა. თითქოს იქ მთელი ჯოგი ბალახობდა, მაგრამ ხედავდა კი მხოლოდ ერთ უზარმაზარ მოძრავ სხეულს. ჰაერში, ხეების თავზე, შავი მტვერი ბოლქვებად ადიოდა, მაიმუნები კი გაშმაგებით გაჰკიოდნენ: „გაიქეცი!“ კეთილშობილი მოდგმისა რომ არ ყოფილიყო, იქნებ მართლაც ასე მოქცეულიყო. არა, ნამდვილად აფთარი ან ტურა რომ ყოფილიყო, არც შეყოყმანდებოდა, ისე მოძუწავდა. მაგრამ ის მეფე იყო და გაქცევაზე ფიქრიც კი როგორ იქნებოდა! ამიტომ ისევ ბილიკზე დარჩა, მხოლოდ თვალი კი ეჭირა უზარმაზარ ლანდზე, სწრაფად რომ უახლოვდებოდა.

ხეებს შორის გამოჩნდა რაღაც ბუმბერაზი, უთვალავი კბილით აღჭურვილი გველეშაპი, შეჯავშნული და მოლაპლაპე. უშიშრად შესცქეროდა, თითქოს შხუილით ემუქრებოდა: ჩემი შიშით აქ ჭიანჭველას ვერ გაუვლია და შენ ვინა ხარ, ჩემს მიწაზე რომ შემოჭრილხარო? შავი თავი ჰქონდა, მოელვარე და უძრავი თვალი, უზარმაზარი ტანი და გრძელი კუდი.

ნელ-ნელა მიუახლოვდა. რისხვისა თუ გაფრთხილების ნიშნად დაიჭექა, დაიშხუილა. აქეთ სპილომაც თავისი ნაღარა დააქუხა. მაგრამ გველეშაპის შხუილში ჩაიკარგა მისი მრისხანე ხმა. აგერ, თითქმის უკვე ზედ მოადგა, შიშინითა და შავი ბოლქვების ფრქვევით აფრთხილებდა, გზიდან ჩამომეცალეო. ხმაურისაგან ყურები ასტკივდა, შავი ამონასუნთქისაგან ცხვირი აეწვა, მაგრამ ჯუნგლებიდან ათასი თვალი აშტერდებოდა, შერცხვა, ადგილიდან ერთი ნაბიჯითაც არ დაიხია.

გველეშაპი დაეტაკა. ბრაზით ანთებულმა ერთი დაიღმუვლა და თვითონაც შეეცადა დატაკება, მაგრამ ქვებში ფეხები დაუცურდა. უკან გადავარდა, გველმა ბასრი კბილები

წინა ფეხებს შორის ჩაასო, ლამის მკერდი შეუნგრია, წონასწორობა დაჰკარგა. მთელი ძალით შეეცადა მტრის უკუგდებას, ხორთუმის ჩავლებას, მაგრამ ფეხებით მიწას მოწყდა, თითქოს ნიადაგიც ჩაექცა, დაეცა და ფერდობზე ღმუილით დაგორდა.

ასეთი შეურაცხყოფით დარეტიანებული სპილო ფეხზე წამოდგომას ლამობდა. გველმა შემოტევა აღარ ისურვა, ბრძოლაზე ხელი აიღო და თავისი გზით ჩაიქროლა. მხოლოდ ყურში შეათამაშა, ძლევის ნიშნად შეჰყვირა და ისეთი სუნი დააყენა, რომ სპილოს ცხვირი უარესად აეწვა.

მაიმუნებს საქმე გაუჩნდათ, ერთი ყაყანი და ჭორაობა ატეხეს. სპილო დაცინვას გაერიდა, ველზე გავიდა, მაგრამ მაღალ ბალახში ტურების სიცილი ყურებს უხვრეტდა, შორს კი, სადღაც კლდეზე, ლომმა დაიღრიალა.

მდინარესთან მივიდა და წყალში ჩასვლა განიზრახა — იქ მაინც ვერ მომწვდებაო ჯუნგლებიდან დაცინვის ხმა. აი, შედგა კიდეც ფეხი წყალში, მაგრამ ზედაპირზე ნამძინარევი ბეჰემოთის დრუნჩი გამოჩნდა. მის თვალებშიც დაცინვა ამოიკითხა.

ბოროტ მაიმუნებს სპილოს შერცხვენის ამბავი ხიდან ხეზე გადაჰქონდათ. ყოველი მხრიდან ისმოდა მათი გიჟური ღრიანცელი.

— გაჩუმდით! — დაიღრიალა სპილომ, მაგრამ ხორთუმის აწევდენა ვეღარ შესძლო, თავს ზემოთ კი მასხარების ღრიანცელი არა წყდებოდა. ყურები ეწვოდა, ღამის ბინდზე ოცნებობდა, როცა მტაცებლები სანადიროდ გამოდიან და ყველა ხმაგაკმენდილია, თავის გამჟღავნებას ერიდება.

თავი დახარა, კლდეს მიაშურა. ამაოდ! იქ პავიანები ცხოვრობდნენ. იგრიხებოდნენ და ერთიმეორეს თავების ქნევით აუწყებდნენ სამარცხვინო ამბავს. პასუხიც არ გაუცია, რადგან პავიანს რასაც ეტყვი, დამპალი ხილივით უკანვე დაგიბრუნდება.

ბნელ ჭალაში შევიდა, ზანტად მოწყვიტა ფოთლები და თან ფიქრს მიეცა. რა უნდა ეღონა? უკან ვერ დაბრუნდებოდა, ჯუნგლებში იცოდნენ მისი თავის მოჭრის ამბავი.

იქნებ ჯობდეს ქარაფიდან გადაეშვას? დე, მისი სხეული ძაღლებსა და ორნავრებს დარჩეთ საჯიჯგნად. თეთრი ყვავილის გემო მოსინჯა. ძალიანაც გემრიელია! რა აქვს საჩქარო? ქვეყანაზე რამდენი გემრიელი რამე იშოვება! სიკვდილს ყოველთვის მოასწრებს

ქარმა მიმართულება იცვალა და მაშინვე იცნო სასიამოვნო სუნი. ჯერ ყურები ცქვიტა, მერე თანდათან მიუახლოვდა. ფოთლებმა გაიშრიალეს, და ნაცნობი სუნიც პირდაპირ მოხვდა. ხორთუმით გადასწია ტოტები.

იქით მშვენიერი დედალი სპილო იდგა, მისი მეუღლე. თითქოს ალერსიანად შემოსცქეროდა. გარშემო დაუარა, მაგრამ მეუღლემ გაიწია, დაიწუნა ლაჩარი. მაშინ დიდმა სპილომ სალამის ნიშნად ხორთუმი გაუწოდა, მაგრამ იმან ესეც უარყო, ახლოს არ გაეკარა. ახლა უკანა ფეხებზე დადგა და ალერსიანი ხმით მოიხმო. არა, მეუღლე ადგილიდანაც არ დაძრულა, თან ისეთი მზერა ესროლა, თითქოს მტაცებელ ნადირს კლანჭებით დაესეროს. მაშინ დიდი სპილო გაბრუნდა და ხეებში დაიმალა.

დამარცხებული, ბრაზით ანთებული იდგა შუაგულ ჭალაში. ახლა რომელი სპილო ინდომებს მას, ვინ გაუწევს მეგობრობას? რომელიმე ბებერი, დაკორძებული თუ გაეკარა, კიდევ მადლობელი იყოს ბედისა! უკეთესი ბედის იმედი საიდან უნდა ჰქონოდა?

სწორედ ამ დროს ტყის სიღრმიდან ისევ ნაცნობი ხმა შემოესმა. ყური მიუგდო. გუგუნი მატულობდა და ახლოვდებოდა. ბრაზი მოაწვა და კუდიდან ხორთუმის წვერამდე გაუარა. ხეებს შორის გაიჭრა, ველს მიაშურა, იქ, ბალახში, ისევ ისეთი ბილიკი ნახა, ისეთივე ბრჭყვიალა ძვლები, ისევ ისე გაიელვა ცივმა თვალმა და გაიკლაკნა შავი ჩრდილი.

ბინდი ჩამოწვა, აგრილდა. მიწა ცახცახებდა და გუ[illegible]დებოდა. ცაზე შავი [illegible]რაგნებოდა, თავს ზემოთ კი სიკვდილის ფრინველები რიალებდნენ. გველი ტყიდან გამოიჭრა და უზარმაზარი ურჩხულის თვალი მიანათა.

დიდი სპილო შესახვედრად გაეშურა, თავდახრილი უახლოვდებოდა.

გველმა შორიდანვე დაინახა და დაიწივლა. სპილო გაცოფდა და ტარანზე გადავიდა, ყოჩივით ეკვეთა მოწინააღმდეგეს. უკვე დაღამდა და მტაცებელთა თვალები შუქს აფრქვევდნენ. გველი შეირხა და უკან დაიხია. სპილომ ეშვები ატაკა და ბილიკიდან გადააგდო. გველმა გულისწამღები ხმით შეჰკივლა და კუდი მოიქნია. დარეტიანებულმა სპილომ უკან დაიხია და გაჩერდა. თავში რაღაცა უბრახუნებდა, მაგრამ მაინც ისევ შეუტია და ეშვი თვალში ატაკა.

გველი აღარ იძვროდა. სპილომ ის მოკლა. მაშინ ასწია ხორთუმი, საზეიმო საყვირი დააქუხა და დარბაისლურად, ღირსებით გაეცალა. ვიღაც გაბრაზებულთა ხმა ესმოდა, — ილანძღებოდნენ. პავიანებია მსგავსი ხმა ჰქონდათ იმ უცნობ არსებებს, მაგრამ მათი ენა სპილოს არ ესმოდა, თანაც მისთვის ახლა ყველაფერი სულერთი იყო. შავთვალა დედალი სპილო ელოდა ხეებს შორის. მივიდა, ხორთუმი ასწია. მეუღლეც მობრუნდა და ალერსიანად ჩახედა თვალებში.

თარგმნა აკაკი გელოვანმა





# რა უნდა ვიცოდეთ ჰიგიენის შესახებ

ვინც იშვიათად ბანაობს, ვისაც ეზარება ხელპირის სისტემატურად დაბანა, ეშინია ოთახის განიავებისა, გრილ თუ ცხელ ამინდში გარეთ გასვლისა, ვინც არ აკაჟებს სხეულს, იგი მიკრობების გამრავლების ნამდვილ ბუდედ აქცევს ორგანიზმს და ხშირად ხდება ავად.

სხეულის ერთ-ერთი მთავარი ორგანო კანია, იგი იცავს მას გარემოს არასასურველი გავლენისაგან, ათასგვარი მიკრობებისა და ქიმიურ ნივთიერებათაგან.

თითს რომ გავიჭრით, იმწამსვე იოდს დავისხამთ ხოლმე ჭრილობაზე. თუ ეს დროულად არ გავაკეთეთ, ჭრილობაში შეიძლება მიკრობები შეიჭრნენ, გამოიწვიონ ანთებითი პროცესი, დაჩირქება და სისხლის მოწამვლაც კი.

ქიმიური ნივთიერებები სხეულის ცოცხალ უჯრედებს შლიან და ტკივილს იწვევენ. ადამიანს რომ კანი არ ჰქონდეს, იგი დედამიწაზე ვერ იცხოვრებდა, რადგან ქიმიური ნივთიერებები გვახვევია გარს. მარილი რომ მარილია, იმასაც კი ვერ შევახებდით ხელს.

ამის გარდა, კანი სხეულის ტემპერატურას უწევს რეგულირებას. ეს შემდეგნაირად ხდება: ცხელ ამინდში სისხლძარღვებში სისხლის მიმოქცევა მატულობს, ამასთან ერთად იხსნება კანის პორები და ძლიერდება ოფლის გამოყოფა, ანუ ორთქლდება სითხე. რაც უფრო დიდია აორთქლება, მით უფრო ცივდება სხეულის ზედაპირი.

ოფლის ჯირკვლები, აგრეთვე, გამოყოფენ ორგანიზმისათვის ზედმეტ მავნე ნივთიერებებს, ეს ნივთიერებანი კუნთების აქტიური მუშაობის შედეგად წარმოიშობა.

ჩვენი კანი, როგორც ორგანიზმის სხვა უჯრედები, განუწყვეტლივ ახლდება. ეს ხდება ზედა ფენის გამუდმებული კვდომით და გამრავლებით. მკვდარი კანის ქერცლი ოფლთან, ცხიმთან, კანზე მოხვედრილ მტვერთან ერთად ჰქმნის ჭუჭყს, რომელიც ხუფავს პორებს, ხელს უშლის ოფლის გამოყოფას და არღვევს ნივთიერებათა ცვლას. ამიტომ, ჭამის შემდეგ, ქუჩიდან ან ეზოდან შინ მიბრუნებისას აუცილებლად კარგად უნდა დაიბანო ხელები. განსაკუთრებით მიაქციე ყურადღება ფრჩხილებში ჩამჯდარ ჭუჭყს — იგი მიკრობების ნამდვილი ბუდეა.

თუ ჰიგიენის ამ ანბანს არ დაიცავ, მიკრობი შეიძლება პირის ღრუში მოხვდეს; ამას კი ბევრნაირი ავადმყოფობა მოჰყვება. ადამიანის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს კბილები და პირის ღრუ, სადაც საკვების პირველადი გადამუშავება ხდება. კარგად გადამუშავებული საკვები ძალზე უადვილებს კუჭ-ნაწლავებს მუშაობას.

ჯანმრთელი კბილების შენარჩუნება მხოლოდ მუდმივი ზრუნვით შეიძლება. კბილები დილა-საღამოს თუ არა, დღეში ერთხელ მაინც უნდა გამოიწმინდო საგანგებო პასტით ან ფხვნილით.

ადამიანი, საერთოდ, კარგად ეგუება გარემოს. გაიხსენე. იგი ცხოვრობს ჩრდილოეთში, სადაც ყინვა 40 გრადუსზე მეტია, და ცხოვრობს უდაბნოშიც, სადაც 40 გრადუსი სიცხეა. ადამიანი იპყრობს ოკეანეს, კოსმოსს. მაგრამ ვინც მთელი ცხოვრება თბილი ან ცივი ოთახ[illegible]ში გაატარა, [illegible]ება კლიმატური პირობების ცვალებადობას. გარე პირობების მკვეთრი შეცვლისას, ცხადია, ორგანიზმი იბრძვის ახალი გარემოს შესაგუებლად, მაგრამ ამას ყველა ორგანიზმი ვერ ახერხებს. სუსტ ადამიანს შეიძლება არ ეყოს შინაგანი რეზერვები და უცებ ავად გახდეს. ასეთ პირობებს გაცილებით კარგად იტანს შეჩვეული, ე. ი. ორგანიზმგამოწრთობილი ადამიანი.

შენ, ალბათ, გაინტერესებს როგორ აღწევენ ამას, როგორ აწრთობენ ორგანიზმს. მართლაცდა, ვის არ უნდა, გამოწრთობილი იყოს! აბა, რა გუნებაზე დადგები, როცა შენი ამხანაგები წყალში ჭყუმპალაობენ, შენ კი, გაგანია ზაფხულში გაციებული, მათთან ერთად ვერ ბანაობ. აი ამიტომ გვინდა დაიმახსოვრო რამდენიმე რჩევა.

ორგანიზმის გამოწრთობა — ესაა გარემოს არახელსაყრელ გავლენებთან ორგანიზმის თანდათან შეგუება. იგი ანვითარებს ორგანიზმის თავდაცვით რეაქციას სიცხისა და სიცივისადმი, ამაგრებს ნერვიულ სისტემას, აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას. ორგანიზმი კარგად ებრძვის გრიპს, ანგინას, სურდოს, ბრონქიტს. ორგანიზმის გამოსაწრთობად დიდი ნებისყოფა და შეუპოვრობა საჭირო.

ორგანიზმის გამოწრთობა წლის ყველა დროს შეიძლება დაიწყოთ. ჯერ

ჰაერის აბაზანები უნდა მიიღო. ზაფხულობით ტემპერატურა 18-20 გრადუსი უნდა იყოს, ხანგრძლივობა — 15-18 წუთი. შემდეგ თანდათანობით უნდა გაზარდო დრო.

შიშველ ორგანიზმზე ჰაერის ზემოქმედება მუდამ სასარგებლოა. სიცივეში უმჯობესია ეს პროცედურა ოთახში ჩაატარო. ოღონდ ჰაერი გაწმენდილი უნდა იყოს. კარგია მზის აბაზანებიც. მზეზე პირველად 5-7 წუთი უნდა იყო, შემდეგ თანდათან 30-40 წუთამდე შეიძლება. მზეზე შიშვლად ხანგრძლივმა ყოფნამ, კანის სიდამწვრის გარდა, შეიძლება სხვა სერიოზული ზიანიც მიაყენოს ორგანიზმს.

# ყურადღება, [illegible]!

წრთობის ყველაზე დიდებული საშუალება წყალია. როცა წყლის აბაზანების მიღებას დაიწყებ, ჰაერის ტემპერატურა 18-20 გრადუსი უნდა იყოს, წყლისა კი— 30-32 გრადუსი. წრთობის პირველ ეტაპზე სველი პირსახოცით ჯობია ტანის დაზელა, შემდეგ კი მშრალი პირსახოცით უნდა შეიმშრალო. თუ პირველმა ცდებმა კარგად ჩაიარა, წყლის ტემპერატურა შეგიძლია თანდათან თითო გრადუსით დასწიო (5-7 დღეში ერთხელ). წყლის აბაზანების ხანგრძლიობა 30 დან 60 წუთამდეა ხოლმე.

ასე რომ, თუ გინდა იყო გამოწრთობილი, ჯანმრთელი, კუნთმაგარი და ხალისიანი, ორგანიზმის გამოწრთობა და სხვა, ზემოჩამოთვლილი ჰიგიენური ჩვევების შესრულება კანონად უნდა გაიხადო, თორემ ისე, ვერც ჯანმრთელი იქნები და, ცხადია, ვერც იმ მრავალრიცხოვანი ვარჯიშების შესასრულებლად მოამზადებ ორგანიზმს, მშთ-ს ნორმატივების ჩასაბარებლად რომ არის საჭირო.





## სამკერდე ნიშნების კოლექციონერები

საბჭოთა კავშირში არსებობს სამკერდე ნიშნების კოლექციონერთა საზოგადოება, რომელიც ათიათასამდე წევრს ითვლის. ამ საზოგადოების არაწევრთა ანუ მოყვარულთა რაოდენობა კი, ალბათ, ხუთჯერ მეტი იქნება, იმდენად პოპულარულია ეს საქმიანობა. საქმე ის არის, რომ სამკერდე ნიშნებში — ლითონისა და მინანქრისაგან დამზადებულ მინიატურულ ნაკეთობებში — არეკლილია ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ამბები და მოვლენები. ამასთან ეს ნიშნები ხშირად თვითონ წარმოადგენენ გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებს.

## ვინ არ უშინდება სიცივეს?

ნორვეგიაში ჩაატარეს ცდები, რომლებიც მოწმობენ, რომ სიცივეს ყველაზე უფრო იტანენ პოლარული იხვები. სპეციალურ კამერაში მოთავსებულმა პოლარულმა იხვმა მინუს 110 გრადუსს გაუძლო! ყინვაგამძლეობით მეორე ადგილზე გამოვიდა ბატი, მესამეზე — სელაპი; თეთრმა დათვმა მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა.

## რით ავადდებიან ვეშაპები?

აღმოჩნდა, რომ ვეშაპებიც ადამიანის მსგავსად ავადდებიან ქრონიკული ანგინით, ღვიძლის ციროზით, პლევრიტით, პნევმონიით (ფილტვების ანთებით). ნადავლი კაშალოტების თირკმლებში ზოგჯერ პოულობენ კენჭებს. ვეშაპები კიბოთიც სნეულდებიან, ოღონდ მათი ორგანიზმი წარმატებით უმკლავდება ავთვისებიან სიმსივნეებს. ბევრი ვეშაპების უმრავლესობაში შეიმჩნევა ათეროსკლეროზი. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როცა კაშალოტის სხეულში ინფარქტის კვალი აღმოუჩენიათ.

## უკანასკნელი „გონდოლმშენებლები"

ვენეცია, როგორც ცნობილია, თანდათან იძირება ზღვაში, სახელგანთქმული გონდოლების რიცხვი კი იქ სულ უფრო და უფრო მცირდება. ოდესღაც მათი რაოდენობა 10 000 იყო, ამჟამად კი სულ 450-ია. საქმე ის არის, რომ გონდოლის „სიცოცხლე" საშუალოდ 20 წელს აღწევს, თანაც ახალი გონდოლის ასაგებად 12 სხვადასხვა ჯიშის ხე არის საჭირო. მთავარი მაინც ისაა, რომ ოსტატ „გონდოლმშენებელთაგან" ვენეციაში ორიღა დარჩა და ისინიც სამოც წელს გადაცილებულნი არიან — წელიწადში 10 გონდოლზე მეტს ვერ აკეთებენ, „როცა ჩვენ ამ ქვეყნიდან წავალთ, — განუცხადეს მათ რეპორტიორებს, — ვენეციაში გონდოლები გაქრება: ჩვენ ხომ შეგირდები აღარა გვყავს. თუმცა იმ დროს არც ვენეცია იქნება".



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





ადექი და ფუნჯს ტარი ასე დაუგრძელე.

ბალში შეგროვილი ნესტიანი ფოთოლი და სხვა ბალახბულახი ძნელად იწვის. გააკეთე სქელი მავთულისაგან ასეთი ცხაური და დასაწვავი ნაგავი ზედ დააყარე. ბალახბულახი კარგად გაიქარება და ცეცხლიც იოლად მოედება.

ბავშვის ორთვლიანი ეტლი, მისი პირდაპირი დანიშნულების გარდა შეგიძლია საქანელადაც გამოიყენო. თუ როგორ

კირის ხსნარით ჭერის შესაფეთქად, ჩვეულებრივი მოკლეტარიანი ფუნჯი არ გამოგადგება.





შეიძლება ამის გაკეთება კარგად ჩანს აქ მოყვანილ ნახატზე.



გამოცანები

ფარცხი; მოტორი.

ამოცანა

6 და 6

## პასუხი № 4-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

კროსვორდი

თარაზულად: 1. მატერიალისტი; 5. იმამატი, 6. დიპლომი; . 10. იარუსი; 11. რადიუმი; 12. ლიგნიტი; 14. ინდოეთი; 16. აგრაფია; 18. კომეტა; 20. ამპერი; 23. გრეიდერი; 24. კონდორი; 26. ალგებრა; 27. ინვენტარი; 28. იდეა; 29. ბუმერანგი; 30. ლენა; 34. ოსმიუმი; 35. მატერიკი; 36. მარინიო; 37. აქლემი; 38. აპოგეა; 40. კლიენტი; 43. მანდატი; 47. მიკრობი; 48. კოლეგია; 49. ირონია; 50. ანდანტე; 51. რევიზია; 52. იმპერიალიზმი:

შვეულად: 1. მიმინო; 2. ეტიუდი; 3. ილიადა; 4. იდილია; 5. იარდი; 7. მაისი; 8. ლინზა; 9. ირისი; 13. კვადრილიონი; 15. დოკერი; 17. ფეიხოა; 19. ათენი; 20. ამება; 21. კვინტილიონი ; 22. ენგელსი; 25. დესანტი; 30. ლიტრი; 31. აფიშა; 32. ამიაკი; 33. პალატა; 39. მუმია; 40. კირზა; 41. ენისეი; 42. იუბილე; 43. მედალი; 44. დეკორი; 45. ირემი; 46. ლიანა.

## სარჩევი


ჩხიკვიშვილი მ. — ჩვენი წვლილი — (წერილი) . . . 1
მერაბიშვილი ე. — ტრამალი (მოთხრობა, დასასრული) . 3
წიქვაძე რ. — patria ქართულად სამშობლოს ნიშნავს (წერილი) . . . . . . . . . . . . . . 10
მეტრეველი ბ. — ბალადა მასწავლებელზე (ლექსი) . . 12
გვაზავა-სანაძე ლ. — გარნიზონის უფროსი (წერილი) . 12
ისინი ჩვენი კორესპონდენტები იყვნენ — რ. თაბუკაშვილი . . . . . . . . 14
ასათიანი მ. — მეეტლე და შვილიშვილი — (მოთხრობა) . 15
აისი . . . . . . . . . . . . . . 20
საინტერესო სიახლენი . . . . . . . 23
ბებეჟკორი ა. — გაზაფხულის მწვერვალი (წერილი) . . 24
ძნელაძე ბ. — გზაზე (ლექსი) . . . . . . . 25
თოფაძე ბ. — მარტივი რიცხვები (წერილი) . . . . 26
კოცუინკლი უ. — მატარებლისა და სპილოს ჭიდილი . . 28
ყურადღება, სტარტზე! . . . . . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . 31
საზრიანის ხელში . . . . . . . . . 32
ვარცხნილობა. გარეკ. . . . . . . . 3 გვ.


გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა თამაზ ხუციშვილისა.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდი ანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.



საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 17/IV-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/V-76 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5. შეკვ. № 1067. ტირ. 145.550. უე 00764.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.


 © „პიონერი", 1976 წ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა











ბავშვებო, რედაქციამ მიიღო წერილი, სადაც თბილისის ერთ-ერთი სკოლის პიონერი გოგო-ბიჭები გვთხოვენ მივუთითოთ თმის როგორი ვარცხნილობა ითვლება მოსწავლისათვის უფრო შესაფერისად. რედაქციის ფოტოკორესპონდენტი ბავშვთა საპარიკმახერო სალონში ეწვია ამ საქმის ოსტატებს და ფოტოფირზე გადაიღო მოსწავლისათვის კოხტა და შ ფერისი, ესთეტიკურად სასიამოვნო თმის ვარცხნილ რამდენიმე ტიპიური ნიმუში. აქვე უნდა დავძინ რომ ვარცხნილობის შერჩევისას აუცილებლად უ იქნეს გათვალისწინებული თავის ფორმა, სახის ვანილობა, თმის სიხშირე...



ფოტოეტიუდი

ბიბლიოთეკა